ფასიანი

№ 7

ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს

1-4 დეკემბერი

1996 წელი

"ქვეყანა არია შურმა, უღმერთოდ ხარხარებს ღმერთი"

დედაქალაქის თითქმის ყველა ჟურნალისტმა იცის, რომ ოთხშაბათობით 13 საათზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში პრესის დღე იმართება და ამიტომ დარბაზი ყოველთვის სავსეა.

გამონაკლისს არც 27 ნოემბერს გამართული პრესკონფერენცია წარმოადგენდა, რომელსაც საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს უფროსი მერაბ გაბუნია ხელმძღვანელობდა.

ბატონმა გაბუნიამ განაცხადა, რომ სამინისტროს მიერ მომზადებულია სამი საკითხი საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის სხდომაზე გასატანად. წყნეთში მდებარე №22 აგარაკი, თბილისის მსუბუქი "ლითონკონსტრუქციების ქარხანა" და ს/ს "დეკას" ბალანსზე რიცხული კიკეთის დასასვენებელი სახლები.

უკვე დასრულდა განაცხადების მიღება მე-3 სპეციალიზებულ აუქციონზე. პირველ სამ აუქციონზე დაინტერესებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მარტო სამინისტროში შემოსული განაცხადებით გადახდილ იქნა მილიონ ლარამდე, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ადგილზე შესულ თანხებს და განაცხადებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თანხა მილიონ ლარს ბევრად აღემატება.

სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სააქციო საზოგადოებათა აქციათა პაკეტები, სადაც დარჩენილია 51%-ზე მეტი სამართავად გადაეცეთ დარგობრივ სამინისტროებს. სახელმწიფოს ხელში დარჩენილ აქციათა სხვა პაკეტები გადაეცემათ ტერიტორიულ ორგანოებს და მათი საშუალებით მოხდება სახელმწიფოს ხელში დარჩენილი აქციების მართვა.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი რამ. მერაბ გაბუნიას განცხადებით ეს პრივატიზების პროცესის შეჩერებას არ გამოიწვევს, რადგან თუ უკვე დარგობრივ სამინისტროს დაქვემდებარებულ საწარმოს მყიდველი გამოუჩნდება, იგი დაუბრკოლებლივ გაიყიდება. ერთი სიტყვით, სამინისტროებს მართვის უფლება კი მიეცათ, მაგრამ ნებისმიერ მომენტში შეიძლება ესა თუ ის საწარმო ხელიდან გამოეცალოთ. პრინციპში, ეს ასეც უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს ხელში დარჩენილი საწარმოების რაოდენობა ძალიან დიდი იქნება.

სამინისტროს მიერ მომზადდა ორი ბრძანება: საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 ნოემბრის № 706 ბრძანებულებით და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის №318/100 დავალების შესრულების მიზნით; საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 ნოემბრის №713 ბრძანებულების შესრულების მიზნით.

გარდა ამისა, მომზადდა 1996 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებიდან ამონაგები თანხების სავარაუდო პროგნოზი მთლიანად და დარგების მიხედვით 1996 წლის ბოლომდე და 1997 წლისათვის.

მომზადებულია სამინისტროს ბრძანება ლანჩხუთის და გორის რაიონების მუნიციპალურ საკუთრებაში რესპუბლიკური მნიშვნელობის ობიექტების გადაცემის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 აგვისტოს №499 ბრძანებულების შესაბამისად მომზადებულია და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შესათანხმებლად წარედგინა დებულება "ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის შესახებ".

სამმართველოს უფროსმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკის მოთხოვნა ათი საშუალო და დიდი სიმძლავრის პურპროდუქტების საწარმოს ქონების არანაკლებ 51%-ის პრივატიზების შესახებ შესრულებულია.

ქართული პრესის მკითხველი მოსახლეობისათვის უკვე ცნობილია, რომ თბილისის რამდენიმე პურის ქარხნის დირექტორი უარს აცხადებდა გადაეხადა იჯარით აღებული ქონების გამოსასყიდი (თავი ისევ უძრაობის ხანაში ეგონათ). ახლა, ეტყობა გაიგეს, რომ საბაზრო ეკონომიკის კანონების თანახმად სახელმწიფოს "წურბელად" ყოფნის საშუალებას მათ არავინ მისცემს და ხუთმა პურის ქარხანამ გამოსასყიდი ფასის 50%-ზე მეტი უკვე გადაიხადა. ამჟამად ქუთაისის ოთხი პურპროდუქტების საწარმო

(დასასრული მე-2 გვ.)

გეგმა 51%-ზე მეტით ვერ შესრულდა

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 21 ნოემბრისათვის ცენტრალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებისა და გრანტებით მიღებული პროდუქტების რეალიზაციიდან შემოსავლით მობილიზებული სახსრების მოცულობამ, წლის დასაწყისიდან სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან და საპარტნიორო ფონდის სპეციალურ ანგარიშზე მიღებული შემოსავლების ჩათვლით შეადგინა 218,1 მლნ ლარი, მათ შორის ნოემბერში მიღებულია 17,7 მლნ ლარი. ნოემბრის საგეგმო მაჩვენებელი 34,7 მლნ ლარია, ე.ი. 21 ნოემბრისათვის გეგმა შესრულებულია 51%-ით. ნოემბრის 15 სამუშაო დღის მიხედვით საშუალო დღიური შემოსავალია 1,2 მლნ ლარი. საგეგმო მაჩვენებლის შესრულებისათვის დარჩენილ პერიოდში საშუალო-დღიური შემოსავლები საჭიროა გაიზარდოს 2,8 მლნ ლარამდე.

სამომხმარებლო ფასები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა

სამომხმარებლო ფასების ზრდა მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობას ყოველთვის მტკივნეულად ეტყობა ხოლმე. განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელფასები სიმბოლურია და საარსებო მინიმუმის მხოლოდ რამდენიმე პროცესს ავსებს.

როგორც ცნობილი გახდა, გასულ კვირას სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ცვლილება თითქმის არ აღნიშნულა. უმნიშვნელოდ მოიმატა ფასმა ბენზინზე - 41 თეთრიდან 42 თეთრამდე, რაც 2,4 პროცენტს შეადგენს. ბენზინის და პურის გაძვირება ყოველთვის იწვევს ხოლმე მომსახურების ტარიფების გაზრდას. ამჯერადაც იგივე განმეორდა, თუმცა ტარიფების ზრდა უმნიშვნელო იყო. მან მხოლოდ 0,03 პროცენტი შეადგინა.

ზამთრის დადგომასთან ერთად მოხდა ფასების ზრდა, რაც ჩვენი პირობებისათვის უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. ოქტომბრის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი ზამთრის სეზონით გამოწვეული ფასების მომატება გასულ კვირაშიც გაგრძელდა.

ფასების ინდექსის ჯამური მაჩვენებელი 0,06 პროცენტით გაიზარდა. მომსახურებაზე ნამატმა 0,05 პროცენტი შეადგინა. უფრო მნიშვნელოვნად გაძვირდა სასურსათო საქონელი - 1,6 პროცენტით.

სპეციალისტების ვარაუდით ეს კიდევ არ არის უკანასკნელი ზღვარი. ფასების ზრდა იანვრის დასაწყისში კი, ალბათ, კატასტროფულ ციფრს მიაღწევს, რადგან ახალი წლისა და შობის დადგომასთან ერთად სურსათზე მოთხოვნაც, ბუნებრივია, გაიზრდება.

ერთი კი საკითხავია, კიდევ რამდენხანს შესძლებს საქართველოს მოქალაქე 10-12 ლარის ხელფასის პირობებში საახალწლო სუფრის გოჭითა და ინდაურით დამშვენებას?

ნომერში:

საგადასახადო ორგანოებმა 192 ორგანიზაცია შეამოწმეს — გვ.2

საქართველოს საკუთარი ზარაფხანა აქვს — გვ.3

პანორამა — გვ.4

იდავეს და ვერ გაიყვეს... ძალები და უფლებები — გვ.5

მაფიოზური კლანები — გვ.6

ნომერში:

ინფორმაცია საქართველო

უშიშროების საბჭო სინანულს გამოთქვამს

აფხაზეთში ჩატარებული უკანონო არჩევნების გამო გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭომ გააკეთა განცხადება, სადაც გამოთქმულია სინანული აფხაზი სეპარატისტების გამომწვევი ნაბიჯის გამო. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ "აფხაზეთის მხარემ ყურად არ იღო გაეროს უშიშროების თხოვნა გაეუქმებინა არჩევნები, რომელთა გამართვა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოლაპარაკების გზით განისაზღვრება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი". ეს კი, როგორც განცხადებაშია ნათქვამი, უნდა მოხდეს მხოლოდ "საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პირობით".

დაჯილდოვდნენ ღირსეულები

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და სასაზღვრო სამსახურის სრულყოფის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მედლით "მხედრული მამაცობისათვის", "ღირსების მედლით" დაჯილდოვდნენ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეები.

ერთიანი პასუხისმგებლობის ფასად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და ფირმა "რეის პეტროლს" შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად აჭარა 1 დეკემბრიდან მიიღებს 80 მეგავატ ელექტროენერგიას. მოსახლეობას იგი მიეწოდება ექსპერიმენტის წესით. ინდივიდუალური ელექტრომრიცხველის გარდა მრავალბინიან სახლებში დაიდგმება საერთო მრიცხველი, რომელიც აღნუსხავს მოხმარებული ენერგიის საერთო რაოდენობას. განაცხადი ამის თაობაზე უნდა იყოს კოლექტიური. წინააღმდეგ შემთხვევაში მობინადრეები ენერგიას ვერ მიიღებენ.

მოლაპარაკების მორიგი რაუნდი

თბილისში მოეწყო რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მორიგი რაუნდი, რომელშიც მონაწილე რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგანგებო დავალებათა ელჩი ფელიქს კოვალიოვი.

შეხვედრაზე განიხილეს საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის სამართლებრივი, სამხედრო, სოციალური, კულტურული სფეროს პრობლემები.

"ქვეყანა არია შურმა, უღმერთოდ ხარხარებს ღმერთი"

(დასასრული)

გატანილია აუქციონზე. აუქციონზე მოხვდა ხობის, სენაკის, ოზურგეთის პურპროდუქტების ობიექტები და დამატებით ჰიათურის საწარმოც.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო საქართველოს სხვა სამინისტროებს შორის უდავო ლიდერია სასამართლოში არსებული საქმეების რაოდენობის მიხედვით. თუმცა ამას სამინისტროს ხელმძღვანელობა დიდად არ განიცდის, რადგან სადავო მასთან აქვთ, ვინც საქმეს აკეთებს. უმოქმედო და უსაქმურ სამინისტროსთან გასაყოფი არავის ექნებოდა. თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ "ცუდას რად უნდა მტერობა..."

მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოში მოსარჩელე მერაბ და ზურაბ ფავაძეების სარჩელის გამო, მოპასუხის ს/ს "ტრაქტების" მიმართ. სასამართლო პროცესში სამინისტრო ჩართულია როგორც მოპასუხე.

კასპის რაიონის სასამართლოში იხილება კასპის რაიონის პროკურატურის სასარჩელო განცხადება მოპასუხის ქონების მართვის სამინისტროს მიმართ კასპის საწარმოო კომბინატის პრივატიზების ბათილად ცნობის თაობაზე, სამინისტრო ჩართულია მოპასუხედ.

პრესკონფერენციას ესწრებოდა იურიდიული სამმართველოს უფროსი ირაკლი ღვალაძე. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ "დილის გაზეთში" ბოლო დროს ხშირად იბეჭდება პრივატიზებისა და ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ მიმართული სტატიები. მათი ავტორი ნიაზ ჯავახიშვილი კი როგორც გაირკვა, სამინისტროდან დარღვევების გამო გაგდებულ იქნა. ახლა კი, ბუნებრივია, შურისძიების წყურვილი აქვს. ქალბატონის აზრით, პრივატიზების პროცესის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილი ყოფილა. ბატონმა ირაკლიმ ამის საპირისპიროდ სამინისტროს მიერ გამოცემული ათასგვერდიანი წიგნი აჩვენა ჟურნალისტებს და აღნიშნა, რომ აქ მოთავსებული დოკუმენტები მხოლოდ პრივატიზებას ეხება.

"ამაზე სქელტანიანი და სრულყოფილი ალბათ მარტო კოდექსია", - გულწრფელად გაიკვირვა მოსაუბრემ.

"დილის გაზეთის" კორესპონდენტი თავის წერილში აღნიშნავს, რომ ქონების მართვის მიერ ჩატარებული აუქციონები კანონში არ წერია და ამდენად უკანონოა.

იურისტის განცხადებით:

"იურისპრუდენციაში არსებობს კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, დადგენილებები და ა.შ. პრივატიზების კანონში პირდაპირ წერია (მე-6 მუხლი), რომ პრივატიზების ფორმა არის კონკურსი და აუქციონი. შემდეგ უკვე ცალკეა გაშიფრული როგორ უნდა ჩატარდეს აუქციონი. ეს უკვე შესაბამისი კანონმდებლობით დგინდება. თქვენ გგონიათ, თავად ქალბატონმა ეს არ იცის? ძალიან კარგად მოეხსენება. აქ მუშაობდა და ამ ნორმატიულ აქტებსაც ასრულებდა, ახლა მიხვდა, როცა გაათავისუფლეს, რომ უკანონობას სჩადიოდა? თუ საჭიროდ ჩავთვლით, ამასთან დაკავშირებით პასუხი შეიძლება გავცეთ".

ბატონმა ირაკლიმ ე.წ. "ხაშურის საქმეზეც" ისაუბრა. იქაური ქონების მართვის განყოფილების უფროსი ბიბილური სამინისტროს კონკრეტული საქმის გამო უჩივის. ბატონმა ირაკლიმ სინანულით აღნიშნა, რომ სწორედ ამ კონკრეტული საქმის გამო ბიბილური სამსახურიდან გაათავისუფლეს და საქმე პროკურატურას არ გადასცეს.

"ხაშურში მოხდა სასტუმრო "ივერიის" პრივატიზება, რომელიც სამინისტროს აზრით დარღვევით მოხდა და აი რატომ: 29 ოქტომბერს გაიმართა კონკურსი და ამ პერიოდში მოქმედებდა 1994 წლის 21 დეკემბრის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება, რომელიც ადგენდა კონკურსის ჩატარების წესს. დადგენილების მიხედვით მაშინ ანგარიშსწორება კონკურსის დროს ხდებოდა მხოლოდ ფულადი საშუალებით და ვაუჩერებს არ ითვალისწინებდა. ქონების მართვის სამინისტროს 2 ოქტომბრის დადგენილებით, კონკურსებში ნაწილობრივ გადახდა შეიძლება. ამ მხარეს საპრივატიზაციო ფასიანებით. ეს - დადგენილება - იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში 31 ოქტომბერს გაატარა, ე.ი. 29 ოქტომბერს იგი უკანონო იყო.

სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩვენი აზრი არ გაიზიარა, მაგრამ ჩვენ ვაპირებთ საკითხი ჩვეულებრივ სასამართლოში გავასჩივროთ და დავაჯნებთ საკითხს კონკურსის შედეგად დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიზანს მაინც მივაღწევთ.

მაშინ იმ კაცის წინააღმდეგ პროკურატურას საქმე არ გადავეცით და ახლა უკან მოგვიტრიალდა. ეტყობა, ადამიანი არ უნდა დაინდო".

მართლაც დამაფიქრებელია. კაცის დაჭერის მაგივრ მისი სამსახურიდან განთავისუფლებით კმაყოფილდები და მადლობის ნაცვლად სასამართლოში გიჩივიან. რაც შეეხება "დილის გაზეთს". მან უკვე მოიპოვა საკმაო პოპულარობა ხალხში. შეიძლება ითქვას, ქართულ პრესაში თავისი ადგილიც დაიკავა და ამდენად სამწუხაროა, როცა მისი კორესპონდენტი ასეთ არაპროფესიონალიზმს ამჟღავნებს. მაგრამ რა ვუყოთ, სამწუხაროდ (კიდევ ერთხელ) ქართველებისთვის წყენის საპასუხოდ შურის და ბოღმის გადმონთხევა ჩვეულ ამბავს წარმოადგენს.

საგადასახადო ორგანოებმა 192 ორგანიზაცია შეამოწმეს

საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული მონაცემებით, 1-21 ნოემბრის განმავლობაში მათ მიერ სულ აკრეფილია 19,8 მლნ ლარის საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, რაც მათი შეფასებით საფუძველს ქმნის თვის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

ნოემბრის აღნიშნული პერიოდის შემოსავლების გათვალისწინებით, წლის დასაწყისიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 241 მლნ ლარი. ეს 65 მლნ ლარით მეტია მთელი 1994-95 წლების განმავლობაში აკრეფილ შემოსავლებზე.

ნოემბერში საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებულია 192 ორგანიზაცია, რის შედეგადაც ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულმა თანხამ 854 ათასი ლარი შეადგინა. 22 ნოემბრის მდგომარეობით ბიუჯეტში ფაქტიურად უკვე ამოღებულია 430 ათასი ლარი.

განვლილ კვირაში ჩატარებული შემოწმებების შედეგად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ელექტრონს" დამატებული ღირებულების გადასახადის გადაუხდელობისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით 44,8 ათასი ლარი დაერიცხა, სახაზინო საწარმო "სანდასტექმრეწვს" კი დამატებული ღირებულებისა და ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისათვის - 37,8 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების, მოგებისა და ქონების გადასახადის გადაუხდელობისათვის კონცერნ "საქსოფლნაყოფიერებას" ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 25,3 ათასი ლარი.

თამბაქოს ახალი წესით დაბეგვრამ 640,5 ათასი ლარით გაზარდა შემოსავლები

საბაჟო სამსახურის ნორმალური ფუნქციონირება დიდად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ამიტომ მის მუშაობას ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობით ეკიდებიან.

1-22 ნოემბერს საბაჟო ორგანოებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა 6,6 მლნ ლარი, რაც 1,5 მლნ ლარით ანუ 28,6 პროცენტით აღემატება წინა თვის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ბიუჯეტში გადარიცხული მთლიანი თანხიდან საბაჟო გადასახადია 1,5 მლნ ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადი - 1,7 მლნ ლარი, აქციზი - 80,5 ათასი ლარი, ფიქსირებული გადასახადი ნავთობპროდუქტებზე - 1,8 მლნ ლარი, ხოლო თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავალი 1,6 მლნ ლარია.

1 ნომებრიდან 22 ნოემბრამდე თამბაქოს ახალი წესით დაბეგვრის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 640,5 ათასი ლარით გადააჭარბა ოქტომბრის შესაბამის პერიოდში მიღებულ ანალოგიური სახის მაჩვენებელს.

მაშ ასე: საქართველოს საკუთარი ზარაფხანა აქვს!



საქართველო თითქმის ყველა ეპოქაში სცნობიათ თავისი ლითონმჭანდაკებლობითა და მონეტარული ნაკეთობებით. ამის საბუთი შორეული ასწლეულების მთელი არქეოლოგიური მონაპოვარია. მათ შორის უპირველესია ქართული ვერცხლის მონეტა, "კოლხური თეთრი" (ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნე). იგი კაცობრიობის უძველეს მონეტარულ რელიქვიათა შორისაა. არსებობს ცნობები, რომ VI-X საუკუნეების თბილისში უმოქმედია კარგად გამართულ ზარაფხანას, რომელსაც არაბთა მოძალების შემდგომ - დაახლოებით VIII საუკუნიდან არაბულ ზარაფხანადაც მოიხსენიებენ. ასე რომ, თბილისში მოჭრილი პირველი არაბული მონეტა უკვე 704 წლისაა და ჩვენი ისტორიისათვის ესეც გარკვეული ღირებულების ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

XVII-XVIII საუკუნეები თბილისური ზარაფხანის სტრატეგიული მნიშვნელობის გამოკვეთის წლებია. ამ პერიოდში იგი მანუფაქტურული ტიპის საკმაოდ მსხვილ ხელოსნურ წარმოებად გვევლინება. მისი წარმოების მოცულობის ზრდა კი ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფო საზრუნავთაგანია, რაც კონკრეტულად გამოიხატა კიდეც ახტალის ვერცხლის სადნობის ქარხნის ამუშავებით. იაზიკოვის ცნობით, ამ გარემოებას თბილისის ზარაფხანის ყოველწლიური საიჯარო შემოსავალი თითქმის 30 ათას მანეთამდე გაუზრდია. XVIII საუკუნის შუაწლებიდან წარმოება საბოლოოდ იშორებს ირანული ზარაფხანის ფილიალის იარლიყს. ეს ნიშნავს, რომ მისეული ფულის (ოქროსა და სპილენძის) ლითონნჭედურ ფორმებზე (ექვსშაურიანები, აბაზიანები, უზალთუნები, ორშაურიანები, შაურიანები, ბისტიანები, ნახევარბისტიანები და სხვა) სამუდამოდ გაქრა ირანის შაჰის ინიციალები და მათი ადგილი ისევ ქართველ მეფეთა სახელებმა დაიჭირა.

ასეთია ისტორია. სასიამოვნოა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს დედაქალაქში ანალოგიური ტიპის წარმოების კვლავდამკვიდრების ფაქტის მისი მოხმობის საშუალებასაც გვაძლევს და იმ არანაკლებ სასიამოვნო გარემოებაზეც ჩაგვაფიქრებს, რომ თანდათან და ნაბიჯნაბიჯ სრულყოფილი სახელმწიფოებრივი ღირსებების მატარებელ გამართულ ქვეყნად ვყალიბდებით. რაც შეეხება ამჯერად საქართველოს ეროვნულ ზარაფხანად მონათლულ საიუველირო ქარხნის წარმოშობის ისტორიას, მისი გაცნობიერება, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენებური მხატვრული ხელოსნობის თავისებური აკვნიდან - ვერცხლის ქუჩიდან უნდა დავიწყოთ. ცნობილია, რომ XIX საუკუნესა და ჩვენი ასწლეულის დასაწყის წლებშიც მასზე მხატვრული ლითონმჭანდაკებლობის უამრავი სახელოსნო იყო ჩარიგებული. მათ ბაზაზე დაფუძნებულა ოდესღაც ოქრო-ვერცხლის სამკაულისა და ჯამ-ჭურჭლის მწარმოებელი პირველი თბილისური ფაბრიკაც. მის კვალდაკვალ გამართულა არტელიც ("მხატვარი"), წლების მანძილზე თავს რომ უყრიდა ფერად ლითონებზე, ბრინჯაოს ნადნობსა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რქაზე მომუშავე იშვიათ ოსტატებს და მათი ნაკეთ-ნაჭედ-მოზარნიშულით უდიდეს სამსახურს უწევდა ჩვენი თვითნაბადი მახტვრული ხელოსნობის ფართო პროპაგანდა-პოპულარიზაციას. მოგვიანებით, ამ ბაზაზე თბილისის სუვენირების ფაბრიკაც ამოქმედდა. ხოლო 1970 წელს ეს ორივე ფაბრიკა გაერთიანდა ერთ სოლიდურ წარმოებად ანუ თბილისის საიუველირო ფაბრიკად, რომელიც ყოფილი სსრკ სხვა დანარჩენ 21 საიუველირო წარმოებასთან ერთად ათობით წლის მანძილზე იმყოფებოდა სსრკ ძვირფასი ქვებისა და ლითონების სამმართველოს დაქვემდებარებაში.

თბილისის საიუველირო ქარხანა თავის პროდუქციის ასორტიმენტით, ნაკეთობათა დიზაინითა და ხარისხით ერთ-ერთი ყველაზე მოსაწონი საიუველირო წარმოება იყო ყოფილ საბჭოთა სივრცეში. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ცენტრალიზებულად გათვლილი-დაგეგმილი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების რღვევით მისი პროდუქციის გასაღების უზარმაზარი ბაზარი ნაწილობრივ დაიკარგა. ნაწილობრივო, იმიტომ ვამბობთ, რომ ქარხნის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ოდესღაც საათივით აწყობილი მიწოდება-გასაღების მექანიზმი ერთბაშად არ გაჩერებულიყო. ეს ნიშნავს, რომ წარმოებას ჩვენი შიდაომების დროსაც და მის შემდგომაც არც ერთი დღით არ შეუწყვეტია მუშაობა და მთელი ამ ხნის მანძილზე მეტნაკლებად შეინარჩუნა თავისი ძირითადი ყოფილი სამომხმარებლო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი. ასე რომ, კონკრეტულად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს ამ ბოლო დრომდეც არ მოჰკლებიათ საშუალება, შეეძინათ ქართველ იუველირთა ნახელოვნები ოქრო-ვერცხლის სამშვენისები და ეროვნული დიზაინით აღბეჭდილი საყოფაცხოვრებო თუ სასუვენირო დანიშნულების ათასგვარი ნაწარმი: ხანჯლები, ზარდახშები, ყალიონები, ლანგრები, ორიგინალური ფორმისა და ნაკეთობების დოქები, თასები და სირჩები, სამკაულები, რომლებშიც საკმაოდ საინტერესოდაა ერთმანეთს შერწყმული ჭედურობის, ფილიგრანული, ემალური პოლიქრომის, ქვის ინკრუსტაციისა და სხვა ტექნიკა.

ბოლო ხანებში, წარმოების მოცულობის შემცირების მიუხედავად, ქარხანას ასორტიმენტი თვალშისაცემად გაუმრავალფეროვნდა. ვგულისხმობთ საკმაო რაოდენობის მედალსა თუ ორდენს, რომლებიც სწორედ ამ წარმოების ბაზაზე მზადდებოდა აფხაზეთის ომის დროსაც და მის შემდგომ შედარებით მშვიდობიან პერიოდშიც. დღეის მონაცემებით, ეს ახალი ასორტიმენტი, გარდა საიუბილეო მონეტებისა, 13 დასახელების ოქროსა და ვერცხლის ორდენსა და მედალს მოითვლის, რომლებიც გარდა იმისა, რომ გამოირჩევიან ორიგინალური დიზაინით, ძვირფასი თვლებითაც გახლავთ შემკული. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ზარაფხანაში ჯერ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად დამზადებული და ნიმუშის სახით არსებული დავით აღმაშენებლის ორდენი, რომელიც უზადო ბრილიანტითაა დამშვენებული. ზარაფხანის ხელმძღვანელობას (გენერალური დირექტორია მევლუდ კვირიკაშვილი) ჩაფიქრებული აქვს, ეს ორდენი სახელმწიფოს საჩუქრად მიართვას იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის გაერთიანების პრობლემის მომრევი კაცი გამოგვიჩნდება... ერთი ფრიად საყურადღებო ნიუანსიც... საქართველოს ეროვნული ზარაფხანა ამ ეტაპზე მკვიდრად სახელმწიფო წარმოებაა. და არ არის გამორიცხული, რომ ასეთი სახელწოდებისა და დატვირთვის საწარმოსათვის საკუთრების ამგვარი ფორმა არამარტო ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარების ამ ეტაპზე იყოს ოპტიმალური. მით უფრო, რომ ამაში ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში კონკრეტულად ამ პროფილის წარმოებათა პრივატიზება-არაპრივატიზების თვალსაზრისით არსებული საკმაოდ არაერთგვაროვანი გამოცდილებაც გვარწმუნებს.

დღეს თითქმის 80 პროცენტით არის შემცირებული ქარხნის წარმოების მოცულობა, თუმცა მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის პერსპექტივებიც მეტნაკლებად გამოკვეთილია. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ იმას, რომ მაინც მოინახა საშუალება შარშანდელთან შედარებით წარმოების მოცულობის მთელი 5 პროცენტით გასაზრდელად. სწორედ წარმოების მოცულობის შემცირების წყალობით გამოუვიდათ ყირათიანობა და ჯერ კიდევ ტრადიციული ეკონომიკური არხებით შემოტანილი ნედლეულ-მასალა ბარე ორ წელიწადსაც გამოიზოგეს. ამ მოცულობით ერთი წლის სამუშაოს, ალბათ, კიდევ გამართულად გასწვდებიან. არც ის არის გამორიცხული, რომ თუ საქმეს კარგი პირი ექნა, ტრადიციულ წარმადობამდე - ტონანახევარი ოქროს გადამუშავებამდეც - ავიდნენ. მით უფრო, რომ ქართული ოქრო-ვერცხლის სამშვენისებისა და სუვენირების ტრადიციულ მომხმარებელს მათი მთელი რიგი ღირსებები ამ ბოლო ხანებში ისევ ახსენდება. ეს იგრძნობა რუსეთის საიუველირო ნაწარმის წლევანდელ 38-ე ბაზრობაზეც, სადაც დსთ-ის თითქმის ყველა საიუველირო ქარხანა და სავაჭრო ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი. იგრძნობოდა ასევე, ბალტიელ პარტნიორთა ხელახალ დაინტერესებაშიც. ამ ბაზარს უკვე "შემორიგებულიც" ეთქმის, იმდენად, რამდენადაც ქართული საიუველირო ნაწარმის პირველი პარტია მათგან რა ხანია, ათვისებულია.

ერთი ასეთი დეტალიც გვინდა გაგახსენოთ: ზუსტად ორი წლის წინათ ბი-ბი-სის საინფორმაციო არხებით საქართველო გამოცხადდა ქვეყნად, სადაც მსოფლიოში უიაფესად იყიდებოდა ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი და ანტიკვარიატი. მოგეხსენებათ, ეს ხელოვნური გაუფასურება ჩვენი ცხოვრების რა სიკეთეების შედეგიცაა. მაგრამ მეორეს მხრივ, დავფიქრდეთ: ასეთი შესაშური დელიკატურობით მიწვდილ ფასეულ ინფორმაციას რომელი შავი ბაზარი არ დახარბდებოდა! მით უფრო, რომ



ვინ უწყის, კიდევ რამდენ ხანს ვახეირებთ, სულიერ-ინტელექტუალურზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუნდაც მატერიალურ ფასეულობათა გადაფასების სინდრომს და საზოგადო უსახსრობითა თუ მავნთა ხელშეწყობით ხელოვნურად ფასდაკარგულ ოქრო-ვერცხლსაც შავ ბაზარზე დღიურ გროშებად ლამის მუჭა-მუჭას სანამ გაყიდით... სანამ სახელმწიფო იმ დონეზე მაინც მომაგრდება ფინანსურად, რომ მავანთა სერიოზულ კონკურენტად იქცეს და თავად შეიძინოს მყარ ფასებში მოქალაქეთაგან ლამის ჩალის ფასად გამეტებული საოჯახო განძეული.

საკუთარი პროდუქციის თვითღირებულების ნიველირების ტენდენცია არ შეიძლება მტკივნეულად არ აისახებოდეს წარმოების რეპუტაციასა და მისი პროდუქციის გასაღების პერსპექტიულობაზე. თბილისელი იუველირები რა ხანია შეეგუენ იმ გარემოებას, რომ რიგ მიზეზთა გამო, ჯერჯერობით ხელი არ მიუწვდებათ მსოფლიო ბაზრამდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ არა აქვთ ამ ეტაპზე კვლავაც მათთვის ოპტიმალური ყოფილი საბჭოთა ბაზრის ხელახლა დაპყრობის პრეტენზია. შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელი პოპულარობიდან გამომდინარე, არ უნდა აღმოჩენილიყვნენ ამგვარი პრობლემის წინაშე, მაგრამ ფაქტია, რომ პროდუქციის რეალიზება დღეს ამ წარმოებისთვის სასიცოცხლო პრობლემაა. მით უფრო, რომ დსთ-ს ქვეყნების საბაჟო კავშირში საქართველოს გაუწევრიანებლობა და რიგ პროდუქციაზე დაწესებული მაღალი (50 პროცენტიანი) აქციზები მის წარმატებულ გადაწყვეტას დღემდე სერიოზულად აბრკოლებს. ცნობილია, რომ ეს საკითხი ამ ბოლო ხანებში საპარლამენტო კომიტეტების დონეზე რამდენჯერმეც დაისვა. რესპუბლიკის წარმოების სფერო იმედოვნებს, რომ ამ თვალსაზრისით მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მაინც იტყვის გადამწყვეტ სიტყვას.

მით უფრო, რომ ამასწინათ გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის დამფუძნებელ კრებაზე რესპუბლიკის პრეზიდენტმაც ალუთქვა მეწარმეებს, რომ წარმოების სფეროსადმი სახელმწიფო თანადგომა გაძლიერდება.

ერთი მაგალითი გვინდა მოგიყვანოთ საქართველოს ეროვნული ზარაფხანის გენერალური დირექტორის ბატონი მევლუდ კვირიკაშვილის ერთ-ერთი არცთუ რიგითი ენერგიული მცდელობიდან...

მკითხველს ახსოვს, ამ ცოტა ხნის წინათ რესპუბლიკაში მეგობრულ ვიზიტად ჩამოსული იყო უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ისლამ ქარიმოვი. მოხდა ისე, რომ იგი ქართველ მეწარმეებთან შეხვედრითაც დაინტერესდა და საქართველოს პრეზიდენტთან ერთად კიდეც ეწვია მათ. სპეციალისტთა შეფასებით, თურმე თითქმის მეწარმის კვალიფიკაციის დონეზე მიმოიხილა დღეს ამ სფეროში არსებული მთელი რიგი ინერციული და არაინერციული პრობლემები. მისმა კომპეტენციამ და რაც მთავარია, პოზიციამ საქართველოს ეროვნული ზარაფხანის გენერალურ დირექტორს გაუჩინა იმედი, რომ საიუველირო ნაწარმის შეკვეთა-გასაღების კუთხით უზბეკეთ-საქართველოს ამჟამად შესუსტებულ პარტნიორობას სწორედ მისი სახით შეიძლებოდა ეპოვნა ყველაზე ენერგიული პატრონი. გათვლა ფსიქოლოგიურად ზედმიწევნით სწორი გამოდგა: ქართველი მეწარმის წერილს ქარიმოვმა მართლაც ენერგიული ღონისძიებით უპასუხა - დაუყოვნებლივ მიავლინა საკითხის შესასწავლად თავისი სავაჭრო უწყების ოფიციალური წარმომადგენელი. ამ ვიზიტის შედეგებმა მოლოდინს მკვეთრად გადააჭარბა. მოწონებულ იქნა და უზბეკეთში სარეალიზაციოდ შეირჩა ფაქტიურად 15 მილიონი დოლარის ოქრო-ვერცხლის საიუველირო ნაწარმის ნიმუში. დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც დღემდე არაფერი სჭირდება თავად უზბეკეთის პრეზიდენტის ოფიციალური ნებართვის გარდა. მოგეხსენებათ, უზბეკეთი თავად რუსეთზე სამჯერ აღმატებული ოქროს საბადოს მფლობელი ქვეყანაა, რომლის გადამუშავებასაც საკუთრივ მისი ხუთი საიუველირო ქარხანა ემსახურება. ამდენად, ასეთი დიდძალი უცხოური ვალუტის გამეტება მხოლოდ იმისთვის, რომ ქვეყანაში ისეც ზღვად დამდგარი ოქროს ნაკეთობა შევიდეს, გარკვეული თვალსაზრისით, პირადად მისთვის არცთუ სარფიანი სავაჭრო გარიგება გახლავთ. ასე რომ, საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ ლოგიკურად დაყოვნდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ქართული პოზიციიდან... მაშინ ბატონმა მევლუდმა ჩვენს პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, მაქსიმალურად გემოეყენებინა ჩვენთვის თითქმის სასიცოცხლო ამ საქმიანი წინადადებების ხორცშესხმისთვის საკუთრივ თავისი უზარმაზარი პიროვნული ავტორიტეტი. შევარდნაძემ ოფიციალურად მიმართა ქარიმოვს. ეს ნიშნავს, რომ სავაჭრო ურთიერთშეთანხმებას ფაქტიურად წერტილი დაესვა. ამ დღეებში მოვიდა ოფიციალური პასუხი: უზბეკეთის მხარე თანახმაა ამ ეტაპზე ქართული ზარაფხანის საიუველირო პროდუქციის შერჩეული ნიმუშების 10 ათასი დოლარის ღირებულების საცდელი პარტია შეისყიდოს.

ზარაფხანის ხელმძღვანელობას, მის კოლექტივს, რომელიც ფაქტიურად სერიოზულ დიდ შეკვეთებს მონატრებულია, ეს შეთანხმება ფრთას ასხამს. მით უფრო, რომ იგი თითოეულისთვის არამარტო წარმოების მოცულობის ზრდას, კვალიფიციური მუშახელის შენარჩუნებასაც ნიშნავს. შეკვეთის რეგულარულ უზრუნველყოფას ხომ სულ ცოტა 400 მუშა-სპეციალისტი მაინც დაჭირდება, ასე რომ, შეიძლება კერძო

სექტორში გადასულებმაც აქეთ გამოიხედონ, მით უფრო, თუ გამართლდება წარმოების ხელმძღვანელთა იმედები და ზარაფხანა თუნდაც თბილისის მარტო ერთი საწარმოო რაიონის შემოსავლის ტოლფას სახსარს შესძენს საქართველოს ეროვნულ ბიუჯეტს. ჩვენ კი ღმერთმა ისეთ დროსაც მოგვასწროს, როცა ჩვენს ოქრო-ვერცხლეულს ევროპელთა მოსაწონი დიზაინიც ექნება, მაგრამ იქამდე, სანამ საქმე ასეთ ფინიშზე მივიდოდეს, მეწარმეობის მაქსიმალური ხელშეწყობა სჭირდება. ეს უპირველეს ყოვლისა, მათ მიმართ საგადასახადო პოლიტიკის შედარებით გალიბერალურობით უნდა გამოიხატოს. მეწარმე არ უნდა ფიქრობდეს, რომ მისი ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა დრაკონული და წარმოების დამანგრეველია, რომ იგი მიმართულია მისი მწარმოებლური ინტერესების წინააღმდეგ და შეგნებულად პროვოცირებს მის საბოლოო გაკოტრებას. ჩვენ პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ. ასე რომ, არაფერი უნდა მოგვეჩვენოს არაბუნებრივი იმაშიც, თუ ცაკეულთაგან მეწარმის ინტერესთა იგნორირების დაძველებულ განწყობილებას დღეს უკვე მის მიმართ საზოგადო დამოკიდებულების დაურეგულირებლობა კი დღემდე უნიკალურ სპეციალისტთა დაკარგვის ფასად უჯდება ამ უკანასკნელს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჩვენი ფაქტიური არამწარმოებლობით ევროპელ მავანს უკვე რა ხანია, მხოლოდ თავისი ზეჭარბი პროდუქციის გასაღების უპრობლემო ბაზრად ვეგულებით.

კიდევ ერთი საკითხი: საქართველოს ეროვნული ზარაფხანა სხვა თანამოძმეთა ფონზე შედარებით პირიან საწარმოდ ჩანს. ფაქტიურად შარშანდლამდე მოიტანა თავი უვალოდ. მიმდინარე წლის 9 თვეში მარტო გადასახადთა სახით სახელმწიფოსათვის 280 ათასი ლარი აქვს მიცემული. და ეს მიუხედავად იმისა, რომ საშური პრობლემა, სხვისი არ იყოს, არ აკლია. მათგან ყველაზე მოუთმენელია ქარხნის რეკონსტრუქცია-გადაიარაღების პრობლემა, რასაც სხვა რომ არაფერი, მარტო ზარაფხანის ფუნქციის სრულყოფი-



ლად შესრულება ბუნებრივად საჭიროებს. აქაური სპეციალისტები იმედით ელიან 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას: მის პროექტში ხომ მათი წარმოების განახლება-აღჭურვისათვის მთელი 2 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ეს იმედიც პერსპექტივაა, ისევე, როგორც იმის გაცნობიერება, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოს მფარველობა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს სისხლხორცეულ ინტერესს შეადგენს.

დასაწყისისთვის კი გილოცავთ: საქართველოს კვლავაც აქვს საკუთარი ზარაფხანა!

ნინო ხარაზიშვილი

ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔ №38

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ

"საქართველოს ეკონომიკის 1996 წლის 9 თვეში ფუნქციონირების, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ძირითადი შედეგებისა და უახლესი ამოცანების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 ნოემბრის №713 ბრძანებულების შესრულების მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ 1996 წლის 26 ნოემბერს გამოსცა ბრძანება (№1-3/840). მასში ნათქვამია:

"1. დაევალოს ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველოს (ი. ჩხაიძე):

- ორი კვირის ვადაში მოამზადოს წინადადებები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

- მოამზადოს წინადადებები სააქციო საზოგადოება "ლაჯანურჰესის" აქციების 49%-ის მართვის უფლებით რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამხარეო მმართველობაზე გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

2. დაევალოს დარგების სამმართველოს (დ. გელაშვილი) ერთი თვის ვადაში მოამზადოს წინადადებები სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში წარსადგენად, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ სპეციალიზებულ მეურნეობათა რეორგანიზაცია-განსახელწიფოებრიობაზე იმ ვარაუდით, რომ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს სპეციალიზებულ მეურნეობათა მკაცრად შეზღუდული რაოდენობა.

3. დაევალოს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (მ. გაბუნია) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს რესპუბლიკური და მუნიციპალური საკუთრების გამიჯვნის შესახებ სათანადო კანონპროექტის მომზადება და სახელმწიფო კანცელარიაში წარდგენა.

4. დაევალოს უძრავი ქონების მართვისა და აღრიცხვის სამმართველოს (გ.ბორდეზიანი), წარმოადგინოს წინადადებები რესპუბლიკური და მუნიციპალური საკუთრების აღრიცხვისათვის შესაბამისი რეესტრების წარმოების წესის შესახებ.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 ნოემბრის №713 ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 13 ნოემბრის №1-3/797 ბრძანებით შეიქმნა სახელმწიფო წარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების (ტრესტების, სამმართველოების) რეორგანიზაციის კომისია.

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეებს საკურატორო ზონების მიხედვით."

ᲘᲯᲐᲠᲐ-ᲒᲐᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲝᲠ�გᲐᲜᲝᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲬᲛᲡᲠᲘᲒᲔᲑᲚᲐᲓ

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებული ობიექტებიდან შემოსული თანხების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გადარიცხვის მოწესრიგების მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბრძანების (№1-3/847) შესაბამისად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებზე დელეგირებული საერთო-სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების დროს ქონების გამოსასყიდი თანხის (გადახდის მიხედვით) 2,5% უნდა ჩაირიცხოს სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ანგარიშზე.

ფინანსების, აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს (ბ-ნ ნ. მაისურაძე) დაევალა უზრუნველყოს აღნიშნული თანხების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისათვის გადარიცხვა დადგენილი წესის შესაბამისად.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს მინისტრის მოადგილე ბ-ნი გურამ დიდბარიძე.

— — — — — — — — — —

ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲔᲕᲐᲚᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲡ...

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 ნოემბრის №706 ბრძანებულებით და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის №813/100, 31.10.96 წ. დავალების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის 1996 წლის 26 ნოემბრის ბრძანებით (№1-3/841) სამინისტროს დარგების სამმართველოს (დ. გელაშვილი) დაევალა 1996 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოს:

- პუბლიკაციების სახელმწიფო კორპორაციაში შემავალი საწარმოების პრივატიზების ორგანიზება შეთანხმებული სქემის მიხედვით.

- სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების "აგროიმპექსისა" და "საქიმპექსის" პრივატიზების ორგანიზება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

ცნობად იქნა მიღებული, რომ აგრომრეწვბანკისა და გაერთიანებული ქართული ბანკის სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციები გამოტანილია №3 აუქციონზე.

კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალა მინისტრის პირველ მოადგილეს ბ-ნ ემირ ჯუღელს.

ᲡᲘᲚᲕᲔᲡᲢᲔᲠ ᲡᲢᲐᲚᲝᲜᲔᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სილვესტერ სტალონეს ორი თვის გოგონას სოფია როუზს (გოგონას დედაა ჯენიფერ ფლევინი) ექიმებმა გულის სერიოზული დაავადება აღმოუჩინეს. ამ სენის მიზეზი შეიძლებოდა ინფექციაც გამხდარიყო. საქმე ისე გართულდა, რომ აუცილებელი გახდა ოპერაცია. სლაი (ასე ეძახიან ახლობლები სილვესტერს) ფრიად განიცდის, მაგრამ ოპტიმისტურად არის განწყობილი. მისი პრეს-მდივანი ამბობს, რომ მისი ორი უფროსი ქალიშვილი (სხვა ქორწინებიდან) აბსოლუტურად ჯანმრთელია.

ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ

თურმე სიცოცხლე დედამიწაზე სამასი მილიონი წლით უფრო ადრე დაწყებულა, ვიდრე აქამდე მეცნიერები ამტკიცებდნენ და ჩვენც გვასწავლიდნენ. ამას მოწმობს "ავტოგრაფი", რომელიც მიკროორგანიზმზეა აღბეჭდილი. მიკროორგანიზმების "ნაკვალევი" ინგლისელმა მეცნიერებმა იპოვეს მათ მიერ ახლახანს აღმოჩენილ მინერალზე. ამჯერად მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ჩვენ და ჩვენი წინაპრები 3 მილიარდ 800 მილიონი წლისანი ვბრძანდებით.

ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲓᲐᲜᲖᲔ

დიდი მსახიობი მარლონ ბრანდო ცნობილია თავისი ჭირვეული ხასიათით გადაღებების დროს. ფილმ "დოქტორ მოროს კუნძულის" (ჰერბერტ უელსის მიხედვით) გადაღებისას ის ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მის შერეკილ პერსონაჟს ეკადრებოდა. მას მაინცდამაინც თვალში არ მოუვიდა მსახურის როლზე მოწვეული გერმანელი მსახიობი და მასიდან სხვა მსახიობით შეცვალა. ამის გამო საჭირო გახდა სცენარში ცვლილებების შეტანა, მსახურის როლი სულ მთლად ეპიზოდური გახდა, ახალგაზრდა მსახიობის კარიერა კი უმოწყალოდ ჩაშალა. ბოლოს ყველაფერი ხანძარმა დააგვირგვინა - ერთ-ერთმა განაწყენებულმა რეჟისორმა დეკორაციას ცეცხლი წაუკიდა... ერთი სიტყვით, ჭირვეულობას უმეტესად უარყოფითი შედეგი მოჰყვება ხოლმე.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ერთხელ კომპოზიტორი პოკრასი კრემლში ფილმის გასინჯვაზე მიიპატიჟეს. საერთოდ გასინჯვებს ცნობილი მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები და მეცნიერები ესწრებოდნენ ხოლმე.

პოკრასის ადგილი სტალინის გვერდით აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ეს შემთხვევით არ მომხდარა. დაიწყო ჩვენება. ჯერ სამი მოკლემეტრაჟიანი სურათი გაუშვეს, მერე ორი მულტფილმი. და აი, დაიწყო პროგრამის მარგალიტის ჰოლივუდის ფილმის ჩვენებაც. ეკრანზე გამოჩნდა და ტიტრები, სცენარისტი, რეჟისორი, ოპერატორი, კომპოზიტორი... და საბრალო პოკრასს კინაღამ გული გაუსკდა! თვალს მოხვდა სტრიქონი - "Composer D. Pokrass". ეს ხომ მისი ძმა იყო. პოკრასების - ოთხივე ძმის სახელი, მშობლების უცნაური ახირების გამო, ერთი და იმავე ასო D-თი იწყებოდა. ოთხივე ძმა მუსიკოსი იყო. ოციან წლებში ორი ძმა ემიგრანტად წავიდა შეერთებულ შტატებში. ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირში დარჩენილი ორი ძმა დანიელი და დიმიტრი, ცდილობდნენ ამაზე ყურადღება არ გაემახვილებინათ, ეშინოდათ. და აი, მართლაც, არ არსებობს დამალული რომ არ გაცხადდეს.

ფილმი დასრულდა. სრულ სიჩუმეში სტალინმა აუჩქარებლად გააჩაღა ყალიონი. თავის მოუბრუნებლად, გვერდულად გადახედა პოკრასს და მიმტევებელი ხმით მიმართა: "რაო, გაკანკალებს?"...

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ

9,6 მილიონიდან 12 მილიონამდე დოლარს მიიღებს წელს ტოპ-მოდელი კლაუდია შიფერი. 6 მილიონი დოლარი მოაქვს სარეკლამო კონტრაქტს კოსმეტიკურ ფირმა Revlon-თან. ორიდან ოთხ მილიონამდე დოლარს უხდიან როგორც ფოტომოდელს. მისი ტანვარჯიშის კურსის გაყიდვა 500 ათას დოლარს

ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

ეძლევა. მის გამოსახულებას საზოგადოება წელს კალენდარზეც იხილავს. ამაში შიფერი 50-დან 100 ათას დოლარამდე მიიღებს. მერე ტელეგადაცემები! - აქედან ქალბატონს 30-60 ათასი დოლარის შემოსავალი აქვს.

ამას გარდა კლაუდიას წელიწადში ერთ მილიონ დოლარამდე მოგებას აძლევს "Fashion-Cafe", რომელიც ნაომი კემპბელთან და ელ მაკფერსონთან ერთად გახსნა შარშან ნიუ-იორკში.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲖᲔ

ბრაზილიელმა მანეკენმა ქალმა კინაღამ სიცოცხლე შესწირა მაღალი მოდის სამსხვერპლოს. მან ხუთი დღე-ღამე ღრმა კომაში გაატარა. ასეთი საზღაური გაიღო 27 წლის მანეკენმა სააგენტო "ელიტ"-იდან. ქალს ისე სწყუროდა პრივილეგირებულ ტოპ-მოდელთა შორის მოხვედრა, რომ ვაჟის დაბადების შემდეგ, რაკიღა დიეტით ვერაფერი მოუხერხა წონაში ზედმეტ ორ კილოგრამს, გადაწყვიტა და ექიმებს მუცლიდან სწორედ ორი კილოგრამი ქონის ფენა ამოაჭრევინა... მაგრამ ასეთ გამოცდას ვერ გაუძლო ტოპ-მოდელის სხეულმა და ხუთი დღეღამის უგონოდ ყოფნის შემდეგ სიცოცხლე ძლივს შეინარჩუნა. სამაგიეროდ პრესამ ერთი ამბავი ატეხა: აქაოდა, მანეკენებს მძიმე და სახიფათო სამუშაო აქვთო, კუტიურები კი დაუნდობლები არიან და მხოლოდ მოდელის გარეგნობაზე ფიქრობენ, მათს ჯანმრთელობას კი არ დაგიდევენო...

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ფრენსის დანერიმ, რობერტ პლანტის ჯგუფის ყოფილმა გიტარისტმა შექმნა ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც 12 სიმიანი გიტარის, ფორტეპიანოსა და დასარტყამი ინსტრუმენტის ჰიბრიდია. "ბარაგიტარპიანოზე" (ავტორმა მას "Tap board"-ი დაარქვა) დანერიმ უკვე ჩაწერა ორი სოლო ალბომი, რომლითაც დიდად დაინტერესდნენ ხმის ჩამწერი სპეციალისტები: ტეფ-ბორდის საუნდი (ხმა) ძალიან უცნაურია, მასზე დაკვრა კი არაპროფესიონალსაც შეუძლია. 1997 წლის დასაწყისში ტეფ-ბორდების პირველ პარტიას გასაყიდად გამოიტანენ.

ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲭᲓᲘ ᲛᲐᲠᲙᲐ

ციურიხში გამართულ აუქციონზე სენსაციურ ფასში - 2,26 მილიონ დოლარად გაიყიდა ერთი ციცქნა საფოსტო მარკა, რომელიც კოლექციონერთა შორის ცნობილია სახელწოდებით "ყვითელი ტრესკალინგი". გამოშვებულია შვეიცარიაში 1857 წელს. როგორც ყველაზე ძვირფასიანი მარკა იგი შედის გინესის რეკორდების წიგნში. ციურიხში გამართულ ვაჭრობაში ერთმანეთს ეცილებოდა ოთხი პრეტენდენტი, ბოლოს იგი წილად ხვდა, უფრო სწორად, მოიპოვა ვინმე შვედმა, რომელიც შუამავლის დახმარებით მოქმედებდა.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

- ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ
- ᲐᲣᲓᲘᲢᲘ
- ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐ
- ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99-66-15

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №18. ᲛᲔ-2 ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

იდავეს და ვერ გაიყვეს... ძალები და უფლებები

ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით. ზოგჯერ ნაღმი იქ ფეთქდება, სადაც იგი არავის ჩაუდევს, ხანაც შავ კატას ეძებენ ბნელ ოთახში, სადაც საცოდავ ფისუნიას ფეხი არასოდეს შეუდგამს.

ამ მხრივ ცხოვრება ძალიან ჰგავს პოლიტიკას ანუ თავისსავე განუყოფელ ნაწილს. პოლიტიკაც მრავალფეროვანი და მკვეთრი მოსახვევებით სავსე შარაგზაა, სადაც მოძრაობის წესების დაცვა ძნელიც არის და ხშირად არასასურველიც.

პოლიტიკოსების გზები ერთმანეთსაც არ გვანან. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე, რომელიც თავად განსაზღვრავს ძალაუფლებისათვის ბრძოლის ხასიათს, ფორმებსა და მეთოდებს.

ნიჭიერები თავისით ცდილობენ მწვერვალზე ასვლას. ზოგი კიდევ "კეთილი ძიების" დახმარებით ადის იერარქიულ კიბეზე, დანარჩენები ამაოდ ცდილობენ სასურველი ნაყოფის მოწყვეტას.

მაგალითი უამრავია როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, მათ შორის ეგრეთწოდებულ ახლო საზღვარგარეთში ანუ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა პოლიტიკური ინტრიგების კომუნისტური მეთოდები. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრმა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ახალი ილეთებიც კარგად გამოიყენა და შეიშნო კიდეც.

აბა, კომუნისტური მმართველობის უამს ვინ იფიქრებდა პარტიული ფუნქციონერები და სახელმწიფო მოხელეები რომ საჯაროდ დაერეოდნენ ერთმანეთს და პრესის მეშვეობით კორუფციასა და ყალთაბანდობაში ამხელდნენ ერთიმეორეს ან კიდევ სასამართლოს სხდომათა დარბაზებში გაარკვევდნენ ურთიერთობას.

ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა ასეთ სურათს, მაგრამ ახალ საზოგადოებრივ წყობაზე გადასვლამ და ეკონომიკური ურთიერთობების შინაარსის შეცვლამ სრულიად ახალი ასპარეზი გადაშალა პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხლა-შემოხლისათვის.

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ და ზოგად ფრაზებს დავეხსნათ, ნათქვამის საილუსტრაციოდ ერთ გახმაურებულ სასამართლო პროცესზე შევჩერდებით, რომელიც სულ ახლახან დამთავრდა ანგარიშით 0:0 - მომჩივანი მხარის სასარგებლოდ.

პროცესი სპექტაკლს უფრო გავდა, ცხადია, კარგად გათამაშებულს, ვიდრე სიმართლის დასადგენად გადადგმულ გაბედულ ნაბიჯს.

პაექრობის მონაწილენი სასამართლოს დარბაზის სხვადასხვა მხარეს იდგნენ ზუსტად ისე, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დავობდა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე, ამჟამად საზოგადოებრივი მოძრაობა "რეფორმები - ახალი კურსი"-ს თავკაცი ვლადიმერ შუმეიკო, თავის პოზიციას იცავდა (მეტად უსუსურად) რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ვიქტორ ილიუხინი.

პირველი, მისივე განცხადებით, იცავდა "საკუთარ სახელსა და ღირსებას", მეორე - კანონსა და სამართლიანობას.

რამ მიიყვანა სასამართლომდე ეს ორი პატივცემული ბატონი, რომელთაგან ერთი სულ ახლახან პოლიტიკურ ცაზე დანავარდობდა, მეორე კი ახლა ცდილობს იმ ცაში აჭრას და მისი ერთი მონაკვეთის დასაკუთრებას?

მიზეზი დღევანდელი რუსეთისათვის (საერთოდ პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის) საკმაოდ პროზაული, მაგრამ ფრიად სერიოზული გახლდათ.

ვლადიმერ შუმეიკო



ვიქტორ ილიუხინი

კერძოდ:

1995 წლის 12 ოქტომბერს ვიქტორ ილიუხინმა ჟურნალისტები იხმო და პრესკონფერენცია გამართა. თემა მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა - კორუფცია, ყალთაბანდობისათვის ხელის შეწყობა... ერთ-ერთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

უფრო ზუსტად, ვიქტორ ილიუხინმა მხოლოდ "მის ხელთ არსებული" და მისთვის ცნობილ დოკუმენტებზე დაყრდნობით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს აცნობა, რომ ვლადიმერ შუმეიკო და მისი მეუღლე მფარველობდნენ პოდოლსკის საინვესტიციო ფირმა "ვლასტელინას" ხელმძღვანელს ვალენტინა სოლოვიოვას. სამაგიეროდ ფულს "შინ ჩემოდნებით ეზიდებოდნენ".

ილიუხინის პრესკონფერენციაზე მისულ ჩვენს კოლეგებს ასეთი სენსაციური ფაქტის შეუმოწმებლად გახმაურება საჩოთიროდ ეჩვენათ, მხოლოდ "კომერსანტ-Daily"-ს კორესპონდენტ ევგენი იურევს წასძლია სულმა და ილიუხინის ზეპირი განცხადება თეთრზე შავით დაბეჭდილი მოფინა ქვეყნიერებას.

პატარა ბომბი უჩვეულოდ ხმაურიანი გამოდგა. პატარა იმიტომ, რომ ასეთი ბრალდებები რუსეთში (არამარტო) იშვიათობას არ წარმოადგენს, უჩვეულოდ ხმაურიანი კი იმიტომ, რომ შედეგმა მოლოდინს (ილიუხინისთვისაც) გადააჭარბა.

ვლადიმერ შუმეიკომ, არც აცია, არც აცხელა, ადგა და სასამართლოში უჩივლა, "სახელისა და ღირსების დაცვა" მოითხოვა (ჩვენშიც რომ დამკვიდრდებოდეს ასეთი პრაქტიკა, მაშინ უამრავ ჭორ-მართალს მოეძებნებოდა დასტური და უარყოფა).

"ზურგში მაფურთხონ რამდენიც უნდათ. ვაპატიებ, მაგრამ სახეში შემოფურთხებას - ვერა". - შეუვალად განაცხადა "ბრალდებულმა".

"ყველაფერს გავაკეთებ ჩემი განცხადების დასადასტურებლად". - გაჯიუტდა ილიუხინი.

სასამართლო პროცესი კი უსაშველოდ გაგრძელდა. ამასობაში "ვლასტლინას" დიასახლის ვალენტინა სოლოვიოვას სამართალდამცველმა ორგანოებმა ბრალი დასდეს ყალთაბანდობაში, მეანაბრეთა მოტყუებაში, სხვა მრავალ ცოდვაში და დააპატიმრეს კიდეც. მოსამართლის ელენა ერშოვას არაერთი ცდის მიუხედავად სოლოვიოვას სასამართლოზე მოწმედ გამოძახება ვერ მოხერხდა იმ მიზეზით, რომ თითქოს ციხეში საშიშმა სენმა იფეთქა და მისი სასამართლოში გამოცხადება საფრთხეს შეუქმნიდა პროცესის მონაწილეთა ჯანმრთელობას.

სასამართლო სოლოვიოვას გარეშეც იოლად გავიდოდა, თავად ილიუხინს რომ გამოეჩინა კეთილი ნება და მისივე განცხადების გამო გამართული პროცესისთვის თავი არ აერიდებინა. შუმეიკოს ადვოკატი იძულებული იყო წერილობით მიემართა სახელმწიფო სათათბიროს სპიკერის გენადი სელეზნიოვისათვის, რათა მას ზემოქმედება მოეხდინა ილიუხინზე და იგი დასწრებოდა სასამართლო პროცესს.

ეს უკვე ბატონმა ილიუხინმა მიიჩნია "დეპუტატის შეურაცხყოფად" და მეორე სასამართლოში შეიტანა სარჩელი.

ამასობაში შუმეიკოს დამცველმა "აკრძალული ილეთით" შესძლო ვალენტინა სოლოვიოვასთან შეხვედრა. ამ უკანასკნელმა შუმეიკოსთან თუ მის მეუღლესთან (ზუსტად ვერ გაიხსენა) ურთიერთობის ფაქტი დაადასტურა, მერე ქალბატონ შუმეიკოს მეანაბრეობაც (მეორე პირის მეშვეობით) აღიარა, მაგრამ ნათქვამის დამადასტურებელი ვერც ერთი დოკუმენტი ვერ დაასახელა.

ასე იყო თუ ისე, პროცესი მთელი წელი გაჭიანურდა და ბოლოს მაინც შედგა. დამთავრდა ასეთივე არაორდინალური შედეგით.

სასამართლოს პირველ სხდომაზევე მოსამართლემ მომჩივანსა და მოპასუხეს "მშვიდობიანი მოლაპარაკების ვარიანტი" შესთავაზა. ხანმოკლე დებატების შემდეგ მხარეებმა სამართალდამცავი პიროვნების წინადადება... გონივრულად მიიჩნიეს და მიიღეს კიდეც. გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულება, რომელიც სამი პუნქტისაგან შედგება. პირველში ნათქვამია: "ილიუხინი ვ.ი. ნანობს, რომ 12.10.95 წელს სისხლის სამართლის საქმის დამთავრებამდე მის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ შუმეიკო თავის მეუღლესთან ერთად "ფულს ატრიალებდა" "ვლასტლინას" სეიფებში, ვლადიმერ ფილიპეს ძის მიერ აღქმული იქნა სახელისა და ღირსების შელახვად, თუმცა ამ და სხვა ცნობების გახმაურებით ილიუხინი მიზნად ისახავდა არა ვინმეს შეურაცხყოფას, არამედ ჭეშმარიტების დადგენას, რუსეთის ათასობით მოტყუებული მეანაბრის ინტერესების დაცვას.

მეორე პუნქტის მიხედვით ვ.ფ. შუმეიკო უარს ამბობს ვ.ი. ილიუხინის, გაზეთ "კომერსანტ-Daily"-ს სტატიის ავტორის ევგენი იურიევის მიმართ აღძრულ სარჩელზე.

შეთანხმებას მხარეებმა ხელი მოაწერეს და ყველაფერი ამით დამთავრდა.

დამთავრდა კი?

თუ ასეა, მაშინ მთელი ეს ხმაური უბრალო "იწილო-ბიწილო" ყოფილა და მეტი არაფერი, მაგრამ საეჭვოა პოლიტიკის იერარქიული კიბის მაღალ საფეხურზე მდგომ ასეთ პატივცემულ პიროვნებებს გასართობად მოეცალათ.

ეტყობა, ვიქტორ ილიუხინს სიმართლის მაძიებელი და უშიშარი კაცის იმიჯი დასჭირდა და დაუსაბუთებელ განცხადებაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რაც ძნელად საკვირაუდოა. სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამგვარი ილეთი უკეთესად უნდა ჰქონოდა დამუშავებული. თუ ასე არ არის და მაინც გამოიყენა, მაშინ იგი თავად აღმოჩნდა იარაღი იმათ ხელში, ვისაც შუმეიკოს და მის ზურგს უკან მდგომთა მოცილება დასჭირდა.

მიზანი ყველა შემთხვევაში ერთი იყო, შედეგი მეორე გამოვიდა. ძალაუფლება კი მაინც სხვის ხელში დარჩა.

იდავეს და ვერაფერი გაიყვეს. ცოცხალი ლომის ტყავი ისტორიაში ჯერ არავის დაუსაკუთრებია.

ანზორ ხმელიძე

ინფორმაცია მსოფლიოს ირგვლივ

დაიწყო პროექტისწინა სამუშაოები

რუსეთის სააქციონერო საზოგადოება "გაზპრომი" უკვე შეუდგა თურქეთში გაზის საზღვაო გზით ტრანსპორტირების პროექტის რეალიზაციას. ეს საზოგადოების თავკაცებმა ოფიციალურად აცნობეს სააგენტო "იტარ-ტასს".

საზოგადოება "გაზპრომის" წარმომადგენლის განცხადებით მილსადენის საბაზო ვარიანტად არჩეულია პროექტი, რომელიც გაივლის იზობილიე-ტუაფსე-თურქეთის მარშრუტს შავი ზღვით 2 კილომეტრის სიღრმეზე. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ ამ სიღრმეზე მილსადენის გაყვანა პირველია მსოფლიოში.

ამჟამად მიმდინარეობს ე.წ. პროექტისწინა სამუშაოები, რომელიც პროექტის განხორციელების დაწყებად ითვლება.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი

საავტომობილო მრეწველობის აღდგენა ძნელი პრობლემაა, მაგრამ მისი გადაწყვეტა შეიძლება, - განაცხადა რუსეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა ა.ბოლშაკოვმა. დარგში არსებული სიძნელეების მიუხედავად ზოგიერთ ქარხანაში შეიძლება წარმოების განახლება, - დაუმატა მან და იქვე განმარტა, რომ ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა დარგების, მათ შორის თავდაცვითი მრეწველობის თავისუფალი სიმძლავრეები, თუმცა უცხოელი ინვესტორების დაინტერესების გარეშე ყოველივე ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება.

ვიცე-პრემიერის განცხადებით უმოკლეს დროში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი რუსეთის საავტომობილო მრეწველობაში არსებული პრობლემების გადასაწყვეტი სამუალებების დასაბუსტებლად და მთავრობაში შესაბამისი პროექტის წარსადგენად.

შემთანხმებელმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება

1997 წლისათვის ფედერალური ბიუჯეტის შემოსავალი იქნება 392,5 ტრილიონი რუბლი, გასავალი კი - 488 ტრილიონი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტის ძირითადი მახასიათებლების განმსაზღვრავმა შემთანხმებელმა კომისიამ. მთავრობა ითხოვდა გასავალში 523 ტრილიონს. შემოსავალ-გასავალში განსხვავების დაფარვას აპირებენ როგორც მიდა, ისე გარეშე დაფინანსების სამუალებით.

ფარდა უნდა აეხადოს

მიხეილ ლომონოსოვის სახელობის ალმასის საბადოების ათვისებასთან დაკავშირებით პრობლემების დროული გადაწყვეტა მოითხოვა რუსეთის მთავრობის სათათბიროს ბუნებათსარგებლობისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი მიხაილოვმა. მან წამოაყენა წინადადება შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია, რომელშიც შეივლენ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. მათ, მიხაილოვის თქმით, "ფარდა უნდა ახადონ საიდუმლოებას რეგიონში ალმასის მარაგის თაობაზე". ეს ღონისძიება უზრუნველყოფს "ხელსაყრელი" ინვესტორის მოძებნას.

ინფორმაცია

მსოფლიოს ირგვლივ

საბორტო ლაზერი - ბოინგის ხელმძღვანელობით

კომპანია "ბოინგის" მეთაურობით სამრეწველო ჯგუფმა "ხელთ იგდო" კონტრაქტი ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროსთან, რომლის თანახმად ისინი დაამუშავებენ საბორტო ლაზერს ტაქტიკური რაკეტების ჰაერში გასანადგურებლად. ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე "ლოკხიდ მარტინი" და "ტი-არ-დაბლიუ", დასახული აქვთ ამოცანა თვითმფრინავ "ბოინგ-747"-სათვის განკუთვნილი ლაზერის საცდელი ნიმუში.

"ბოინგთან" დაკავშირებულმა ამ სამრეწველო ჯგუფმა ტენდერი მოუგო მეორე სამრეწველო გაერთიანებას, რომელსაც სათავეში კომპანია "როკუელ ინტერნეშნლი" ედგა.

ჰატარა კატარი იარაღს იძენს

ამ დღეებში ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით ინგლისი გახდება კატარისათვის სამხედრო საჭურველის ყველაზე დიდი მიმწოდებელი. პატარა კატარი ინგლისელებისაგან შეისყიდის ქვეითთა საბრძოლო მანქანებს, საპატრულო კატარღებს, "ჰოუკის" ტიპის საწვრთნელ თვითმფრინავებს და "სტარბესტის" კლასის რაკეტებს. მიწოდების დაწყების ვადა ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რადგან იარაღი ჯერ კიდევ უნდა დამზადდეს კატარის მიერ ინგლისისათვის წაყენებული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. ამას გარდა, ინგლისი ცდილობს დასძლიოს ამერიკელი და ფრანგი კონკურენტების წინააღმდეგობა კატარისათვის 50 ტანკის მისაყიდად.

დაფუძნდა ახალი სახელმწიფო ჯგუფი

ტიუმენის ნავთობის კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ იური შაფრანიკმა და ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ბოდელანმა ხელი მოაწერეს ოქმს რუსეთ-უკრაინის ტრანსნაციონალური სამრეწველო-ფინანსური ნავთობის ჯგუფის შექმნაზე. უკრაინული მხარე წარმოდგენილი იქნება სამხრეთის სათბობ-ენერგეტიკული კონსორციუმით (ოდესა), რომლის შემადგენლობაში შედიან ოდესის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, ოდესის საზღვაოსავაჭრო პორტი, ოდესის რკინიგზა, ქ. ილიჩევსკის საზღვაოსაგრანსპორტო ბანკი, ოდესის საწარმოები "ექსიმნავთობპროდუქტი", "ოდესნავთობპროდუქტი" და "სინთეზ-ოილი".

გაზის ექსპორტი გაიზრდება

თურქეთ-რუსეთის საქონელბრუნვა მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით 4 მილიარდ დოლარს შეადგენს. ასეთი დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ორი კვარტლის შედეგები, რომლის მიხედვით ორმხრივი ვაჭრობის მოცულობამ 1,9 მილიარდი დოლარი შეადგინა.

თურქეთი ძირითადად, ეგრეთწოდებულ სათბობთა ჯგუფის ნედლეულს ყიდულობს და მოსალოდნელია, რომ რუსეთიდან ექსპორტირებული გაზის მოცულობა 2000 წლისათვის 6 მილიარდი კუბმეტრიდან 30 მილიარდამდე გაიზარდოს.

მაფიოზური კლანები

მეოცე საუკუნე. ტექნიკური პროგრესის მიღწევებმა გააერთიანა კონტინენტები და ქვეყნები, ამიტომ მთელი რიგი ძლიერი სახელმწიფოები იძულებულნი არიან ერთობლივად გადაწყვიტონ ზოგიერთი პრობლემა. გაერთიანებას არც ხუთივე კონტინენტის ორგანიზებული დამნაშავენი ჩამორჩნენ. მეტი მოგების მიღების მიზნით, ბოროტმოქმედებმა გადაწყვიტეს მსოფლიო თავიანთი ინტერესების სფეროებად დაენაწილებინათ. ამჟამად ყველაზე ძლიერ და ორგანიზებულ საერთაშორისო კლანებად გვევლინებიან იტალიური, რუსული, იაპონური მაფიოზური დაჯგუფებები და კოლუმბიის კარტელები.

იტალიური მაფია ("კოზა ნოსტრა"), ცენტრი განლაგებულია სიცილიაში. წლიური საბრუნავი თანხა შეადგენს 26-29 მილიარდ დოლარს. მისი ინტერესების სფეროა ნარკოტიკების კონტრაბანდა, ტოქსიკური ნივთიერებების გადაზიდვა, იარაღით, ძვირფასი ქვებით, ოქროთი, ანტიკვარული ნივთებით და ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა. მაფიას ეკუთვნის უდიდესი საფინანსო და სამშენებლო კომპანიები.

"კოზა-ნოსტრას" პარტნიორები არიან ჰეროინის მწარმოებლები ტაილანდში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ე.წ. "ოქროს სამკუთხედის" ქვეყნების ნარკოტიკებით მოვაჭრენი. 1992-იანი წლების პალერმოს კლანების წარმომადგენლები ფლორიდაში შეხვდნენ "შედილინის კარტელის" მეთაურებს და მოელაპარაკნენ მათ კოლუმბიური კოკაინის იტალიასა და ევროპაში შეტანა-გასაღების მონოპოლიურ უფლებაზე.

რუსული მაფია, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მაფიოზური დაჯგუფებაა. მისი ხელმძღვანელობა ხორციელდება ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებიდან. მაფია აერთიანებს 5 700-მდე ბოროტმოქმედთა ჯგუფს, რომელთაგან 200-ს კავშირი აქვს საზღვარგარეთის უკანონო ბიზნესთან. ინტერესების სფეროა: ნარკოტიკები, იარაღი, რადიაქტიული ნივთიერებები, იშვიათი ლეტალი და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, აგრეთვე პროსტიტუცია, ხელოვნების ნიმუშების ქურდობა, მოპარული ავტომობილებით ვაჭრობა, არალეგალური ემიგრანტების აშშ-ში გადაყვანა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად მსოფლიოს ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარში ასეთი სახით 1 მილიონამდე ადამიანი გადადის (ბოროტმოქმედთა შემოსავალი ამ ბიზნესიდან 3,5 მილიარდი დოლარია).

სფეროების განაწილება მაფიოზურ დაჯგუფებებში შემდეგნაირია: ყოფილი იუგოსლავიის დაჯგუფებები აკონტროლებენ რუსეთის ტერიტორიიდან იარაღის გადაზიდვებს. წვრილ კოტრაბანდას სომეხი მაფიოზები ახორციელებენ, ხოლო ებრაული დაჯგუფებები მართავენ მოპარული ავტომობილებით ვაჭრობას. უშუალოდ რუსული მაფია განაგებს "ცოცხალი საქონლის" ევროპის ბაზარზე მოწოდებას, მათი უკრაინელი თანამომძენი კი რადიაქტიული ნივთიერებების კონტრაბანდაში არიან დასპეციალებულნი.

1992 წ. რუსული მაფია მოელაპარაკა "კოზა-ნოსტრას" ნარკოტიკების გასაღების და რადიაქტიული ნივთიერებების კონტრაბანდის ყოვლისმომცველი ქსელის შექმნაზე და ამასთან, შეპირდა ევროპაში არალეგალური ბიზნესის დასაცავად "სიკვდილის ბატალიონების" შექმნას.

"რუსული მაფიის" მაკოორდინირებელი ცენტრები განლაგებულია ვარშავასა და პრაღაში, სადაც რეგულარულად ტარდება წამყვანი დაჯგუფებების მეთაურთა შეკრებები.

იაპონური მაფია (იაკუძა), წარმოადგენს ძლიერი ბოროტმოქმედების რამდენიმე დაჯგუფებას, რომელთაგანაც ყველაზე ძლიერად ითვლებიან: "იამაგუტი-გუმა" (26 ათასი წევრი), "ინაგვაკაი" და "სუმიესი-კაი".

იაპონური მაფია ყიდის ნარკოტიკებს კალიფორნიაში და ჰავაის კუნძულებზე, ახორციელებს იარაღის კონტრაბანდას აშშ-დან იაპონიაში და "ცოცხალი საქონლით" ვაჭრობას. ჰავაის კუნძულებზე მაფიას ფართო ქსელი აქვს, აქ მისი ინტერესების სფეროა ნარკოტიკები, პროსტიტუცია და აზარტული თამაშების ბიზნესი.

კოლუმბიის მაფია (კარტელები), მთლიანად დაკავებულია ნარკოტიკების წარმოებით და გასაღებით. კოლუმბიიდან "თეთრი სიკვდილი" მთელ მსოფლიოში მიდის. კოლუმბიური ნარკოტიკების ძირითადი ნაწილი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და აშშ-ში მოიხმარება.

საერთაშორისო ორგანიზებულმა დამნაშავეობამ ისეთი ფართო მასშტაბები მიიღო, რომ მთელი რიგი წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ 1994 წლის ნოემბერში ნეაპოლში შეკრებილიყვნენ, რათა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ საერთო ღონისძიებები დაესახათ და გაეტარებინათ ცხოვრებაში.

უპირველეს ყოვლისა, ჩატარებულ კონფერენციაზე მოხდა იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ ბოროტმოქმედებმა სამართალდამცავ ორგანოებზე გაცილებით ადრე მოაწყეს მსგავსი შეკრება. მხოლოდ მათი სუსტი მუშაობის შედეგია მაფიის ასე გაძლიერება (შეკრებაზე 187 ქვეყნის წარმომადგენელმა მოიყარა თავი და იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებართვით და ხელმეწყობით ჩატარდა). კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამჟამად არცერთ ნაციონალურ მთავრობას არ ძალუძს გაუმკლავდეს მაფიას, რადგან ე.წ. "მაფიოზურ ორგანიზაციებს" ისეთივე სტრუქტურა აქვთ, როგორიც უდიდეს ინტერნაციონალურ კორპორაციებს. ე.ი. აქაც არის ხელმძღვანელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც სკუპულოზურად გეგმავენ ამა თუ იმ ოპერაციების განხორციელების სქემებს, ადგილზე კი უკვე გამოცდილი ბანდები მოქმედებენ. კლანები ერთმანეთთან შედიან, როგორც ტაქტიკურ, ისე სტრატეგიულ კონტაქტში. ბევრი სახელმწიფოს მიღწევად უნდა ჩაითვალოს თვით მაფიის არსებობის აღიარება და მასთან საბრძოლველად შესაბამისი კანონების მიღების ფაქტი.

მაფიის წინააღმდეგ შეერთებული ძალით გამოსვლამ უკვე დაიწყო გარკვეული შედეგების მოცემა. მაგალითად, დადგინდა "კოზა ნოსტრას" და კოლუმბიური კარტელების კავშირის შედეგად ევროპაში შემავალი ნარკოტიკების მოგზაურობის მარშრუტები. გატარებული ღონისძიებების შედეგად დიდი რაოდენობის ნარკოტიკებია ჩამორთმეული და თითქმის 200-მდე ადამიანია დაპატიმრებული.

განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა აქეს გაჩაღებული მაფიასთან აშშ-ს მთავრობას. უკანასკნელ 5 წელიწადში დააპატიმრეს 300 უმაღლესი რანგის დამნაშავე მაფიოზი. შესაძლებელი გახდა მათი დაქვემდებარებიდან მთელი რიგი პროფკავშირების განთავისუფლება, მაგრამ მთავრობის სულ უფრო მეტ შეშფოთებას მაინც აშშ-ში რუსული მაფიის მომძლავრება იწვევს.

შედარებით ახალი მაფიოზური კლანებიდან მსოფლიოში ყველაზე სწრაფად ვითარდებიან აზიური დაჯგუფებები. მათში გამოირჩევა "ჩინური მაფია", ვაჩინის ხელმძღვანელობით (ითვლის 180 ათას წევრს), სპეციალიზდება ემიგრანტების არალეგალურ გადაყვანაზე აშშ-ს ქალაქებში: ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი და სან-ფრანცისკო. აგრეთვე ჩარეულია აზიური წარმოშობის ჰეროინით კონტრაბანდაში და ჩინეთიდან, სსრკ-დან და ვიეტნამიდან შემოსული იარაღით ვაჭრობაში. კავშირში არის რუსულ მაფიასთან.

სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონეზე ასული მაფიის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კოლუმბიური ე.წ. "შედილინის კარტელის" და მისი ყოფილი "ბოსის" პაბლო ესკობარის მოქმედება. კარტელს აშშ-ში შეჰქონდა მოხმარებული კოკაინის 60%-ზე მეტი. ესკობარის ყოველწლიური მოგება 1 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.

კარტელის სალიკვიდაციოდ კოლუმბიის გარდა, რამდენიმე ქვეყნის მთავრობას, მათ შორის აშშ-ს, სამართალდამცავი ორგანოებიც დაირაზმნენ. ესკობარის ადგილსამყოფელს თითქმის 3000-მდე სამხედრო ეძებდა. საბოლოოდ კოლუმბიური მაფიის ხელმძღვანელი ლიკვიდირებულ იქნა სპეციალური ჯგუფის მიერ. თუმცაღა "შედილინის კარტელი" ესკობარის სიკვდილის შემდეგ ფაქტიურად გახადგურებული აღმოჩნდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია კოლუმბიის სხვა მაფიოზური დაჯგუფებებისათვის, რომ თავისი "შავი" საქმიანობა გაეგრძელებინათ. მათ შორის ყველაზე ცნობილია ჰილბერტო და მიგელ როდრიგეს ორეჰუელას დაჯგუფება (მთელს მსოფლიოში "კოკაინის მეფეებად" ცნობილი). ძმები პოლიციაში არ ერევიან და აკონტროლებენ კოკაინით ვაჭრობის 70%-ს აშშ-ში და 90%-ს ევროპაში. კარტელის შემოსავლების უმეტესი ნაწილი ლეგალურ ბიზნესშია დაბანდებული, ამიტომ საკმაოდ ძნელია ძმების დანაშაულის დამტკიცება.

ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში იტალიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იტალიას, ან უფრო სწორად სიცილიას მთელი მსოფლიო მაფიის "ისტორიულ სამშობლოდ" თვლის (მაფია სიცილიაში ჯერ კიდევ XIX ს. დასაწყისში უკვე ორგანიზებული ძალა იყო). თვით მუსოლინის ფაშისტურმა რეჟიმმაც კი ვერ შესძლო მისი დაძარცხება. ომისშემდგომი აღმავლობის წლებში იტალიური მაფია უფრო მომძლავრდა. იგი ბოროტმოქმედებას, ნარკობიზნესს, შანტაჟს, აზარტულ თამაშებსა და პროსტიტუციას აღარ სჯერდებოდა. მაფიამ ეკონომიკაშიც მოინდომა თავისი გავლენის გავრცელება. კერძოდ, სამშენებლო ბიზნესში, მრავალმილიონიანი სახელმწიფო დაკვეთების ხარჯზე თავისი საქმიანობის ლეგალიზება მოახდინა.

იტალიის მთავრობამ შექმნა მაფიასთან მებრძოლი სახელმწიფო კომისარიატი ჯერ კიდევ 1982 წელს. უკვე 1987 წელს პალერმოში (სიცილია) დაიწყო დიდი სასამართლო პროცესი სიცილიური მაფიის ხელმძღვანელის და რიგითი 500-მდე წევრის წინააღმდეგ, მაგრამ 90-იან წლებში მაფიამ კვლავ აღიდგინა თავისი ძლიერება. 1992 წ. მოკლეს მაფიის №1 მტერი მოსამართლე ჯოვანი ფალკონე და მისი მეგობარი პროკურორი პაოლო ბურსელინო, რომლებმაც მაფიის ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონების საქმეების გახსნა შეძლეს. საზოგადოების აღშფოთებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მთავრობამ შექმნა მაფიასთან მებრძოლი სპეციალური სამმართველო, რომლის 1500 წევრიდან, თითოეული განსაკუთრებული სიმკაცრით შეირჩა. სამმართველოს თანამშრომლებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მაფიას მთელი იტალიის ტერიტორიაზე. გაუმკაცრეს პატიმრობის რეჟიმი მის მეთაურებს, რომლებიც ადრე ციხეებში სანატორიუმულ პირობებში იყვნენ. ამავე დროს იმ მაფიოზებს, რომლებიც მთავრობასთან თანამშრომლობაზე წავიდნენ ყოველნაირად შეუმსუბუქდებოდათ პატიმრობის პირობები და ვადები. ბოლო ხანს ჩატარებული ოპერაციების ხარჯზე თითქმის 200-მდე მაღალი რანგის მაფიოზები, დაჯგუფებების ხელმძღვანელები დააპატიმრეს.

იაპონია, რომელიც ყველა დროში მშვიდ და უსაფრთხო ქვეყანა იყო მიჩნეული, გახდა ყველაზე ორგანიზებული დამნაშავეების ქვეყნად, რადგან ადგილობრივი დამნაშავეების სამყარო უნიკალური შეღავათებით სარგებლობდა. მაფიის პროფესიონალური ბანდები თავიანთ ისტორიულ წარმომავლობას ლამის შუასაუკუნეების ფეოდალური ხანიდან ითვლიან. "იაკუძა" თანამედროვე დროში გვევლინება კერძო კომპანიების "პოლიტიკური გაერთიანებების" ან "საკვლევი საზოგადოებების" სახით. ზოგიერთნი მათ უნიკალური იაპონური კოლორიტის ნაწილადაც კი თვლიან, რადგან იაკუძა სათუთად უფრთხილდება ფეოდალურ ფასეულობებს, როგორიცაა სამურაის ღირსება და უმცროსის უფროსისადმი უსიტყო მორჩილება (დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ერთ-ერთ სასჯელად თითების მოჭრაც კი შეიძლება იყოს). მიუხედავად ამისა, იაპონიის მთავრობამ პირდაპირი ომი გამოუცხადა "იაკუძას". 1992 წ. 1 აპრილს მიიღეს ახალი კანონი, რომლის თანახმადაც თუ ორგანიზაცია დადანაშაულდა მაფიასთან თუნდაც მცირეოდენ კავშირში, პოლიციას უფლება აქვს მიიღოს მის მიმართ განსაკუთრებით მკაცრი სანქციები. მაგალითად, ორგანიზაცია იძულებით შეიძლება გამოასახლონ დაკავებული შენობიდან, დააბლოკირონ მის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება უძრავი ქონების შეძენაზე, უარი უთხრან საბანკო კრედიტზე და ა.შ. სამაგიეროდ, ამჟამად ქვეყანაში სულ 53 ათასი პროფესიონალი დამნაშავე დარჩა (მათი რიცხვი 1963 წ. 180 ათასს აღემატებოდა).

დიტო ხანთარია

მსოფლიო ეკონომიკა

"ჩაის მეუფენი" სასმელების მსოფლიო ბაზარზე თავის წილს იზრდიან



ჩაის წარმოების მსოფლიო ლიდერი შრი-ლანკა მსხვილმასშტაბიან სარეკლამო კამპანიას იწყებს. მისი მიზანია სასმელების მსოფლიო ბაზარზე გაზარდოს ჩაის წილი.

რეკლამებში ძირითადი აქცენტი გადატანილია სასმელის ეკოლოგიურ მიმზიდველობაზე. ეკოლოგიური თეზისები კი დიდხანია საქონლის გასაღების კარგ საშუალებად ითვლება, რადგან დღევანდელი მყიდველი ორიენტირებულია ეკოლოგიურად სუფთა საკვებზე და მისთვის არაფერია უფრო მიმზიდველი, ვიდრე ჩაი.

ექსპერტთა აზრით, ჩაის აქცია სხვა არაფერია, თუ არა ამ უებარი სასმელის მწარმოებელთა არაფორმალური გაერთიანება. არის ვერსია, რომ "პეპსიკომ" და "კოკა-კოლამ" რაღაც "თავდაუსხმელობის პაქტის" მსგავსი ხელშეკრულება დადეს. მიხვდნენ რა, რომ მონოპოლიისათვის განუწყვეტელ ბრძოლას აზრი არა აქვს, კომპანიებმა გადაწყვიტეს გააფართოონ თავიანთი სამოქმედო არე სასმელების სხვა დამამზადებლების შევიწროების ხარჯზე. ისინი ცდილობენ მომხმარებელს უარი ათქმევინონ ყავაზე, ჩაიზე, წვენებზე და მთელი ყურადღება გადაატანინონ თავიანთ ნაწარმზე.

სინგაპურში ჩატარებულ ჩაის მწარმოებელთა კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ჩაის კამპანია წარმატებით დაგვირგვინდება ზემოხსენებული ორი მძლავრი კომპანიის წინააღმდეგობის მიუხედავად.

- "ჩვენ მათსავით მილიონებს არ დავხარჯავთ რეკლამებზე, - აღნიშნეს კონფერენციის მონაწილეებმა, - მაგრამ ფართოდ ვისარგებლებთ ეკოლოგიური ლოზუნგებით".

ეს განცხადება მით უფრო რეალურია, რამდენადაც გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩაის პროდუქცია ხელს უწყობს ისეთი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას, როგორიცაა კიბო და გულის ავადმყოფობა.

გაეროსთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ჩაის ბაზარი ახლა ერთგვარ სიძნელეს განიცდის. 1994 წელს დამზადდა 1,74 მილიონი ტონა ჩაი, გასაღდა 1,7 მილიონი ტონა. სამაგიეროდ, ამ ორგანიზაციის პროგნოზებით, 2005 წლისათვის ჩაის მოხმარება დიდად გაიზრდება და 2,81 მილიონ ტონას მიაღწევს. ცეილონელი ჩაის დამამზადებლები უფრო შორსაც მიდიან. ისინი ფიქრობენ, რომ უკვე წელსვე მოიწევენ 250 მილიონ კილოგრამ ჩაის. ეს მოსავალი ცეილონელებისათვის სასიხარულო იქნება თუ არა, ეს დამოკიდებულია მომხმარებელთა მადაზე, განსაკუთრებით პოსტსაბჭოური ქვეყნების მოთხოვნილებაზე. ამ ქვეყნებზე შრი-ლანკის ორიენტაცია ტრადიციულია, მაგრამ აქ თავისი სიტყვის თქმა შეეძლო საქართველოსაც. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები თავის დროზე ძირითადად ხომ ქართულ ჩაის მოიხმარდნენ. ოღონდ ეგ არის, რომ საქართველოს ჯერჯერობით ნამდვილად არ ძალუძს ჩაის ტრადიციულ ქვეყნებთან კონკურენცია და პრობლემის გადაწყვეტა მომავალს უნდა მივანდოთ.

ამ დროს კი "ჩაის მეუფენი" ცდილობენ ხარისხის ამაღლების პარალელურად გააიაფონ პროდუქცია, რაც, თავისთავად ცხადია, კიდევ უფრო მეტ მომხმარებელს მოიზიდავს, დამამზადებელი კი არაფერს დაკარგავს - ნაკლებ ფასში გაასაღებს მეტ პროდუქციას და სერიოზულ მოგებასაც მიიღებს.

რუმინელებმაც ისწავლეს ჭკუა

სოციალისტური ბანაკის დაშლამ როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად დიდი ძვრები გამოიწვია. ხელისუფლებაში მყოფმა კომუნისტურმა ძალებმა, ბუნებრივია, მოინდომეს ძალაუფლების შენარჩუნება. ზოგიერთმა მათგანმა ეს შესძლო, ზოგიერთს კი ნებით თუ უნებლიეთ დაატოვებინეს სკამი.

სულ ახლახანს რუმინეთში ისტორიული ამბავი მოხდა. პირველად რუმინეთის არსებობის ისტორიაში ქვეყნის ხელისუფლებამ გავლენა დემოკრატიული არჩევნების გზით დაკარგა. ეს ერთადერთი დამამშვიდებელი ფაქტორია 66 წლის იონ ილიესკუსათვის, რომელიც ხელისუფლების სათავეში 1989 წელს მოვიდა და ახლა პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მარცხი განიცადა.

თავად ილიესკუს ფიგურაც საკმაოდ საინტერესოა. მას ყოველთვის მაღალი თანამდებობა ეკავა რუმინეთის კომპარტიაში. ჩაუშესკუს გასამართლების შემდეგ კი მისი ადგილი დაიკავა.

შვიდწლიანმა "ილიესკუს ეპოქამ" რუმინეთს ეკონომიკური წინსვლა და პოლიტიკური სტაბილურობა ვერ მოუტანა. რეფორმები ძალიან ნელა მიმდინარეობდა და რაც ყველაზე მთავარია, არ ატარებდა თანმიმდევრობით ხასიათს. მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვაობა რუმინეთსა და აღმოსავლეთ ევროპას შორის ცხოვრების დონის მიხედვით.

არჩევნების შედეგი არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტურის შემდეგ სხვაობა იონ ილიესკუსა და ოპოზიციის ლიდერს ემილ კონსტანტინესკუს შორის მინიმალური იყო, იმთავითვე ყველაფერი გასაგები შეიქნა, რომ მესამე პრეტენდენტ პეტრე რომანის მომხრეები მხარს კონსტანტინესკუს დაუჭერდა.

საოცრება არ მომხდარა. ემილ კონსტანტინესკუმ, რომელსაც ახლახანს 57 წელი შეუსრულდა, ხმების 54 პროცენტით დაკმაყოფილდა.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ პრეზიდენტის სავარძლის დაკავება ადამიანს პრობლემებს კი არ უხსნის, არამედ უმატებს (თუ პრეზიდენტი ხალხისთვის ზრუნავს).

რუმინეთის ახალი პრეზიდენტი თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ყველას არწმუნებდა, რომ შეუდგებოდა ეკონომიკური რეფორმების ფორსირებულად გატარებას. მან პირობა დადო, რომ სოციალიზმის ყველა გადმონაშთს სასწრაფოდ აღმოფხვრიდა და ქვეყანას საბაზრო ურთიერთობების რელსებზე გადაყვანდა. ეს კი მართლაც სჭირდება რუმინეთს, რომელიც ახლაც, შეიძლება ითქვას, კომუნისტური კანონებითა და პრინციპებით ცხოვრობს.

ეს რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხებს.

პოლიტიკის სფეროში კონსტანტინესკუს უფრო დიდი მადა აღმოჩნდა. მისი მიზანია სასწრაფოდ მოახდინოს რუმინეთის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება. ბატონ ემილს, ეტყობა დააავიწყდა, მისი "დიდი ძმის" არსებობა, რომელიც მხოლოდ იმას ელოდება, რომ ნატომ თავის შემადგენლობაში მიიღოს, რათა შემდეგ პოლიტიკური პროვოკაციების მთელი სერიალი უჩვენოს მსოფლიო საზოგადოებას.

ოქრო გაძვირდა

გასული კვირის განმავლობაში ოქროს ფასმა 4 პუნქტით აიწია და 383,00 დოლარს მიაღწია. დილერებს მიაჩნით, რომ ეს ამერიკის შეერთებული შტატების ვალუტის კურსის დაცემამ გამოიწვია.

ძვირფასი ლითონები ახლა ძალიან იზიდავს იმ ინვესტორებს, რომლებიც უცხოური ვალუტის დიდი პარტიებით ვაჭრობენ.

სპეციალისტების აზრით, თუ დოლარის კურსი არ გახდა სტაბილური, ოქროზე ფასი უახლოეს ორ კვირაშიც განაგრძობს ზრდას.

ალუმინის ფასი სტაბილურია

ლონდონის ლითონების ბირჟაზე სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით ალუმინი ოდნავ გაიაფდა და უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე ხშირად იყო დაფიქსირებული. დილერების აზრით, ალუმინის ფასი შესაძლოა გაიზარდოს, რადგანაც მოსალოდნელია, რომ მის მწარმოებლებს შეუმცირდებათ მარაგი.

სპილენძის ღირებულება იმატებს

სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტებით ლონდონის ბირჟაზე სპილენძის ფასმა ერთ ტონაზე 2000 დოლარს გადააჭარბა და 2018 დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ბირჟაზე ამ ლითონის მარაგი 60 პროცენტით შემცირდა. სპეციალისტები თვლიან, რომ ბევრ ბიზნესმენს არ აწყობს ფასის ასეთი ზრდა და უახლოეს ხანში ბირჟაზე ალბათ სპილენძის დიდ პარტიას შემოიტანენ.

ნიკელის ფასი იზრდება

ლონდონის ბირჟაზე უკანასკნელი კვირის განმავლობაში ნიკელის ფასმა თითქმის 200 პუნქტით დაიწია და 7145 დოლარი შეადგინა. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზამთრის დადგომასთან ერთად რუსეთში ჩაიკეტება დუდინკის პორტი, საიდანაც ხდება ნორილსკის ნიკელის ტრანსპორტირება. ეს, ბუნებრივია, მსოფლიო ბაზარზე ნიკელის გაძვირებას გამოიწვევს.

ნავთობი ძვირდება

ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით (დეკემბრის) ლონდონის ნავთობის საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის ფასმა თითქმის ერთი პუნქტით მოიმატა და ერთ ბარელზე 23,8 დოლარი შეადგინა. დილერების თქმით, ეს იმან გამოიწვია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტრომ გააკეთა განცხადება ქვეყანაში ნავთობის მარაგის 2,1 პროცენტით შემცირების შესახებ.

შაქარი გაიაფდა

მარტის კონტრაქტების თანახმად ლონდონის ფიუჩერსულ ბირჟაზე თეთრი შაქრის ფასი 304 დოლარამდე დაეცა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ 1997 წელს ამ კულტურის მსოფლიო მოსავალი 1 პროცენტით მეტი იქნება 1996 წელთან შედარებით.

სწორედ ამითაა გამოწვეული შაქრის თანდათანობით გაიაფება.

ვალუტის ოფიციალური კურსები

(დსთ და ბალტიისპირეთი)

რესპუბლიკა (ვალუტა)	1$	ცვლილება	რუს.რუბ. 1000	ცვლილება
აზერბაიჯანი (მანათი)	4150.0	-5	760	0
სომხეთი (დრამი)	438.2	+17.18	79.3	+2.5
ბელორუსია (ბელ.რუბ.)	15100.0	+100	2750	0
საქართველო (ლარი)	1.275	+0.005	0.225	0
ყაზახეთი (თენგე)	69.85	+0.35	13.6	0
ყირგიზეთი (სომი)	15.72	+0.32	2.8707	+0.0466
ლატვია (ლატი)	0.550	-0.004	0.104	+0.0025
ლიტვა (ლიტი)	4.0	0	0.7295	-0.0043
მოლდოვა (ლეი)	4.66	+0.048	0.847	+0.003
რუსეთი (რუბლი)	5481.0	+25	-	-
ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.)	301.0	0	56.0	0
თურქმენეთი (მანათი)	4045.0	-5	738.95	-4.03
უკრაინა (გრივნა)	1.87	+0.006	0.341	+0.009
უზბეკეთი (სუმი)	48.1	+4.6	8.79	+0.8
ესტონეთი (კრონა)	12.0484	-0.044	-	-

მყარი ვალუტის კურსები

	აშშ	ინგლ.	შვეიც.	100 იაპ.	1000 იტალ	გერმ.	ფრანგ.
ფრანგული ფრანკი	5.0965	8.5023	4.0001	4.55752	3.3563	3.3786	-
გერმანული მარკა	1.5085	2.5166	1.1840	1.3542	0.9934	-	0.2959
იტალიური ლირა	1518.5	2533.2	1191.8	1363.2	-	1000.6	297.95
იაპონური იენა	111.40	185.83	87.430	-	73.359	73.845	21.857
შვეიცარ. ფრანკი	1.2741	2.1255	-	1.1438	0.8391	0.8446	0.2499
ინგლისური გირვ.	0.5994	-	0.4704	0.5381	0.3948	0.3973	0.1176
აშშ დოლარი	-	1.6682	0.7848	0.8977	0.6585	0.6629	0.1962

ძირითადი საბირჟო საქონლის ფასები მსოფლიო ბაზარზე

ოქრო ($ უნც)	383.00	ნავთობი ($ ბარელი)	23.81
ალუმინი ($ ტ)	1432.5	ხორბალი	
სპილენძი ($ ტ)	2018	(ინგ.გირვ. ტ)	95.20
ნიკელი ($ ტ)	7145	თეთრი შაქარი ($ ტ)	304.50

აველანჟი რიო-დე-ჟანეიროს ასახელებს

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა განაცხადა, რომ ქალაქ რიო-დე-ჟანეიროს კარგი შესაძლებლობა აქვს მოხვდეს იმათ შორის, ვინც იბრძოლებს 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლების მოსაპოვებლად. საიდან სადაო, სად ფეხბურთი და სად ოლიმპიური თამაშები? საქმე ის არის, რომ 84 წლის ფეხბურთის ჩინოვნიკმა ეს განცხადება გააკეთა რიო-დე-ჟანეიროში ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის ჩასვლის წინ. აველანჟის ეს დასკვნა ერთგვარი ცდაა გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს კომისიის გადაწყვეტილებაზე. ამაში უჩვეულო არაფერია. მსოფლიო ფეხბურთის თავკაცი ხშირად დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც თავისი ქვეყნის - ბრაზილიისათვის გარკვეული უპირატესობის მოპოვებისკენ არის მიმართული.

აქამდე ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ ოლიმპიური ჩემპიონის გერმანელი თომას ბახის თავკაცობით უკვე მოინახულა ის ქალაქები, რომლებიც 2004 წლის ოლიმპიადის ჩატარებაზე აცხადებენ პრეტენზიას. ეს ქალაქებია სანკტ-პეტერბურგი, სტოკჰოლმი, ლილი, სევილია, რომი, სტამბოლი, ათენი, სან-ხუანი.

ამჯერად კომისიის წევრები რიო-დე-ჟანეიროს გარდა მოინახულებენ ბუენოს-აირესსა და კეიპთაუნს.

ვნახოთ, რამდენად გამართლდება აველანჟის მოსაზრება.

ერთი შეცდომის ფასი - ემიგრაცია

ჰონდურასის ნაკრების მცველმა რიჩარდსონ სმიტმა განაცხადა, რომ იძულებულია დატოვოს სამშობლო და წავიდეს მეზობელ სალვადორში. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მექსიკის ნაკრებთან შეხვედრის დროს თავის საჯარიმო მოედანზე სმიტის მიერ დაშვებული შეცდომა, რის შედეგად მექსიკელებმა გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ამით ჰონდურასის გუნდმა პრაქტიკულად დაკარგა ჯგუფური ტურნირიდან გასვლის შესაძლებლობა. ამ მატჩის შემდეგ სმიტის სახლს თავს დაესხნენ აღელვებული გულშემატკივრები, რომლებიც "შეიარაღებულნი" იყვნენ ქვებით და კვამლსადენებით. სმიტს არც ეს აკმარეს. მას ხშირად ურეკავენ და ემუქრებიან, რომ სასტიკად გაუსწორდებიან მას და მის ოჯახს. "უსაფრთხოების თვალსაზრისით იძულებული ვარ წავიდე ემიგრაციაში". - განაცხადა სმიტმა.

პრემიერ-მინისტრი მხარს უჭერს

ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა ვაცლავ კლაუსმა მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში ერთდროულად უმასპინძლონ ჩეხეთმა და ავსტრიამ. ამასთან, პრემიერ-მინისტრმა არ დაასახელა ტურნირის ჩასატარებლად საჭირო სახსრებში თავისი ქვეყნის წილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემპიონატების ერთდროულად ორ ქვეყანაში ჩატარების პრაქტიკა უკვე მოდაში შემოდის. როგორც ცნობილია, ფეხბურთში ევროპის 2000 წლის ჩემპიონატი ჩატარდება ბელგიასა და ჰოლანდიაში, ხოლო 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი - იაპონიასა და სამხრეთ კორეაში.

სპორტული პალეიდოსკოპი

ფული ყველგან ძნელი საშოვნელია

ფინანსური პრობლემები, როგორც ჩანს, მარტო ქართველ კალათბურთელებს არ აწუხებთ. პოსტსაბჭოურ სივრცეში ეს საერთო სენად იქცა. სწორედ უსახსრობის გამო დონეცკის "შახტიორი" იძულებული გახდა შეეწყვიტა კონტრაქტი ამერიკელ ლეგიონერთან დერონ ხეიესთან. იგი გადავიდა სამარის გუნდში, რომელიც რუსეთის ჩემპიონატის სუპერლიგაში გამოდის.

ისევ ოთხი გუნდით გამოვლენ

მიუნხენში გაიმართა ფიფას მორიგი კონფერენცია, სადაც მომავალი წლის სეზონიდან ევროპის ქვეყნებს ნება დაერთოთ კორაჩისა და რონკეტის თასებზე კვლავ ოთხ-ოთხი გუნდით გამოვიდნენ. შეგახსენებთ, რომ წელს ქვეყნებს გუნდები გამოყავდათ რეიტინგის მიხედვით.

გამოცხადდა ისიც, რომ ქალთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება 11-20 ივნისს პოლონეთის ქალაქებში პოზნანში, ვროცლავში, ვარშავაში.

კეთილშობილ კაცს ციხე ელის

ჩვენი გაზეთის მე-3 ნომერში ვიუწყებოდით, რომ ფიფამ თავისი ყველაზე საპატიო პრიზი Fair Play მიანიჭა აფრიკული წარმოშობის ფეხბურთელს ჯორჯ ვეას. სპორტსმენს პრიზი მომავალი წლის 20 იანვარს უნდა მიეღო და აი, საზღვარგარეთის პრესაში გამოჩნდა სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ კეთილშობილებით ცნობილ სპორტსმენს უეფას მხრიდან მრავალთვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. რა მოხდა? ევროპის ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურში "ბილანისა" და "პორტუს" შეხვედრის დამთავრების შემდეგ ვეამ (სურათზე მარჯვნივ) სახეში თავი დაარტყა "პორტუს" მცველს ჟორჟ კოშტას, რის შედეგადაც კოშტას (სურათზე მარცხნივ) ცხვირი გაუტყდა.

"ბილანის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა ინციდენტი, მაგრამ პრინციპულად დაიცვა მოთამაშე. "ეს პროვოკაციაზე ბუნებრივი რეაქცია იყო", - თქვა "ბილანის" გუნდის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ. დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვა იტალიური კლუბის ვიცეპრეზიდენტმა ანდრიანო მალიანიმ. მწვრთნელმა ოსკარ ტაბერესმა კი განაცხადა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში კოშტა ფეხებში ურტყამდა ვეას, შემდეგ კი გასახდელთან სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა, რასაც ვეამ უხეშობითვე უპასუხა.

ვეას დამცველები არგუმენტების ნაკლებობას არ განიცდიან, მაგრამ უეფას ეს მტკიცებები სულ არ აინტერესებს და ყურადღებას ფაქტზე ამახვილებს.

დისკვალიფიკაცია არაფერი, უარესი თუ არ მოხდა. ადვილი შესაძლებელია კოშტამ სასამართლოს მიმართოს და მაშინ ვეას ორ წლამდე პატიმრობა ელის.

კროსვორდი



თარაზულად: 3. თეატრში - ზედა იარუსი იაფფასიანი ადგილებით. 8. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა. 9. მცენარის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო; წარმოადგენს სხვადასხვა ფორმის თხელ, ჩვეულებრივ მწვანე, ფოტოსინთეზის. 10. წვრილჩლიქოვანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა. 11. პერსონაჟი ფილმისა "შონა ქალი იზაურა". 13. მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში. 14. ეკლიანი ბუჩქი; ისხამს ლამაზ სურნელოვან, ფართოფურცლიან სხვადასხვა შეფერილობის ყვავილებს. 15. სარტყლის, ფეხსაცმლის, ცხენის აღკაზმულობის და მისთანების შესაკრავი. 17. სახელმწიფო მმართველობის ფორმა ძველ საბერძნეთში. 19. სოფელი სამხრეთ ოსეთში. 21. ძალისმიერი ორგანო ყოფილ საბჭოთა კავშირში. 23. ისტორიული ციხე-ქალაქი ძველ საბერძნეთში. 25. იტალიელი არქიტექტორი. 26. მომრგვალო ფორმის, პარკში გახვეული კეთილთვისებიანი სიმსივნე. ვითარდება ჯირკვლოვან ორგანოებში. 29. პირის ღრუდან ხორხის დათვალიერების ინსტრუმენტალური მეთოდი. 31. სოფელი ოჩამჩირის რაიონში. 32. ხვიარა მცენარე. 33. მართკუთხა, მრავალკუთხა ან წრიული ფორმის ნაგებობა, რომლის სიმაღლე მნიშვნელოვნად დიდია მის ჰორიზონტალურ ზომებზე. 34. ინგლისელი მწერალი, ინგლისური ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 35. პერსონაჟი ფილმიდან "დათა თუთაშხია". 36. სოფელი ახალციხის რაიონში.

შვეულად: 1. ქალაქი-კურორტი თურქეთში. 2. წვრილმანებში ფორმალური წესრიგის მტკიცედ დამცველი, ფორმალისტი. 3. ხრახნიანი ღრუს მქონე მრავალწახნაგოვანი ლითონის ნაჭერი ჭანჭიკის მოსაჭერად. 4. კოლექტივის ხელმძღვანელობის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს მასების მონაწილეობას და გავლენას. 5. გამოკრული განცხადება წარმოდგენის, კონცერტის, ლექციის და მისთანათა შესახებ. 6. სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. 7. რელიგიური პრაქტიკა, რომლის მიზანია აბსოლუტთან ექსტაზის გზით უშუალო "შეერთების" განცდა. 12. ბრტყელი, ჩაკეტილი, ამოზნექილი წირი. 13. ერთწლოვანი ბოსტნეული მცენარე; აქვს გართხმული ღერო და ხაოიანი ფოთლები; ისხამს გრძელ, მწვანე ნაყოფს. 16. დაბალი ან საშუალო სიმაღლის მარადმწვანე წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი; აქვს მაგარი და მძიმე მერქანი. 18. ქალაქი იაპონიაში. 19. მზარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო, რომლის დამაგნიტებული ისარი მუდამ ჩრდილოეთისკენ არის მიმართული. 20. სახალხო კრება სპარტაში. 21. მეფეთა, რომის პაპისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა საზეიმო ტანსაცმელი. 22. სოფელი ოჩამჩირის რაიონში. 23. ჯავშნიანი თვითმავალი მუხლუხა მანქანა, შეიარაღებული ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. 24. საგნის ან მოვლენის აზრობრივი დაშლა შემადგენელ ნაწილებად. 27. დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელწოდება. 28. საოჯახო ნივთი, პირველმოხმარების საგანი მზარეულისათვის. 29. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. 30. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ზოლი, ფერით ან მასალით განსხვავებული.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. კრეტა; 6. სარკე; 10. მორგი; 11. სტალონე; 12. მიოზინი; 13. რაგბი; 14. ირიბარი; 17. ნეირონი; 20. ამია; 21. ბავარია; 23. ნეგო; 24. ლაბიერი; 25. ქოლერა; 26. კონკია; 28. ნომიბია; 31. ორბი; 33. არგო; 35. პიოდერმია; 37. იპეკო; 38. გოლფი; 39. ლატიმერია; 40. ფეტეი; 41. ტაკვი; 42. ესეი; 43. იოდი.

შვეულად: 1. ბოსხი; 2. კრახი; 3. ეპოქა; 4. ამერიკა; 5. ორიგინალი; 6. სიმინდი; 7. რიონი; 8. ელიბო; 9. ორიკი; 15. რომანო; 16. ბაალბეკი; 18. რონდონია; 19. ნაგაზი; 21. ბალანსი; 22. ალიკაპი; 25. ქაოსი; 27. ანოდი; 29. მადრიდი; 30. ბარმენი; 32. ბრესტი; 34. რილსკი; 35. პოლიე; 36. აგატი.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი. „მესაკუთრე" რეგისტრირებულია თბილისის ვაკე-რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერი 5/A-909.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის მრიცხებით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების ნამდვილობას უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე მეტი წერილს.

რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.11.96.

მესაქალაქე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„საშობლოში" მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო
კოლეგია